645
1978/2

ეროვნული ბიბლიოთეკა




სექტემბერი
№ 9 1978 წ.

# საქართველოს ქალი





# მსოფლიო ლიტერატურის სიამაყე

შესრულდა 150 წელი რუსული კულტურის სიამაყის ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოის დაბადებიდან. დიდი ლენინი სამართლიანად აღნიშნავდა: „ლევ ტოლსტოიმ შეძლო თავის ნაშრომებში დაეყენებინა იმდენად დიდი საკითხები, შეძლო ამაღლებულიყო ისეთ მხატვრულ ძლიერებამდე, რომ მისმა ნაწარმოებებმა ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავეს მსოფლიო მხატვრულ ლიტერატურაში, ლევ ტოლსტოი — მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატი, ლევ ტოლსტოი — მოაზროვნე, მაღალი ზნეობისა და იდეალების მქადაგებელი, ლევ ტოლსტოი — ჩაგრულთა ქომაგი და მოსარჩლე. და, რაც მთავარია, პატიოსანი შრომის მეხოტბე; მისი „ომი და მშვიდობა“ კაცობრიობის მარადიულად საკითხავი წიგნია, მარადიული ჰიმნია მამულისადმი თავდადებისა. იგივე ითქმის სხვა წიგნებზეც, რომელთა ღირსება უდიდესი ჰუმანიზმია. სწორედ ამიტომ ლევ ტოლსტოის შემოქმედება ზრდიდა და კვლავ აღზრდის სამშობლოს მოყვარე, სამართლიანობის, შრომისა და მაღალი ზნეობის მოყვარე თაობებს. ჩაუქრობელია მისი გენია და ჩვენი პლანეტის ყოველ კუთხეში პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები, მშრომელები, მკითხველები მარადიული სიამაყით, მადლიერებით წარმოთქვამენ ტიტანურ სახელს ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი!

„საქართველოს ქალი“
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესია

# საყოველთაო საზრუნავი

15862

საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიულმა განვითარებამ კაცობრიობის წინაშე მრავალი მწვავე პრობლემა დააყენა, რომლებიც დაუყოვნებლივ გადაჭრას საჭიროებენ. მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია დედათა და ბავშვთა პრობლემები.

ამ აუცილებლობამ უკარნახა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ჩაეტარებინა ისეთი ღონისძიებები, როგორიც იყო ქალის საერთაშორისო წელი, როგორიცაა მომავალი, ბავშვის საერთაშორისო წელი, ანდა მიმდინარე, ისევ და ისევ ქალის პრობლემებისადმი მიძღვნილი ათწლეული.

მართლაც და შეუწყნარებელია, რომ დღეს, ჩვენს განათლებულ საუკუნეში ადამიანები სქესისა და კანის ფერის მიხედვით ხარისხდებოდნენ, რომ ქალი დედა, კაცობრიობის მშობელი და აღმზრდელი და ამავე დროს მსოფლიო დოვლათის მესამედის მწარმოებელი, უფლებრივ, მორალურ, ეკონომიკურ დისკრიმინაციას განიცდიდეს. შეუწყნარებელია, რომ ბავშვი — კაცობრიობის ხვალინდელი დღე, ბავშვობის სიხარულის უფლებაწართმეული, სიღატაკეს და უმეცრებას ეწირებოდეს.

აი პრობლემები, რომელთა მოგვარება მიზნად დაუსახავს გაერთიანებული ერებისა თუ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციებს, იუნესკოსა და ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციას და მსოფლიოს მრავალ პროგრესულ ორგანიზაციას. იმართება კონგრესები, სესიები, კონფერენციები, ქვეყნდება მიმართვები, დადგენილებები და ა. შ.

ამ საერთაშორისო ვითარებაში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცხრე მოწვევის მეცხრე სესიაც, მაგრამ აქ არ ყოფილა პაექრობა და აზრთა შეხლა-შემოხლა ქალთა ადამიანური უფლებების მოპოვებისათვის; არც ბრძოლა იმისთვის, რომ ბავშვები ვიხსნათ ექსპლოატაციისა და უმეცრებისაგან.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესია მსჯელობდა იმის შესახებ, თუ როგორ ხორციელდება ჯერ კიდევ 60 წლის წინათ, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მიერ ქალთათვის მინიჭებული და საბჭოთა კონსტიტუციით დამკვიდრებული უფლებები, როგორ ემსახურება ჩვენი საზოგადოება თავის დიდმნიშვნელოვან მიზანს, რომელსაც დედათა და ბავშვთა ბედნიერება, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ქვეყნის გამრავლება, გაძლიერება და განმტკიცება ეწოდება.

ახლა ჩვენში საკამათოდ აღარავის მიაჩნია, რომ დღეს არ შეიძლება არსებობდეს „ქალის პრობლემები" თავისთავად, განყენებულად, რომ ის, რასაც დღეს ქალი მოითხოვს საზოგადოებისაგან, ე. წ. „სუსტი სქესის ჭირვეულობით" არ არის ნაკარნახევი და მათს მოგვარებაში მამაკაცებიც ნაკლებად არ უნდა იყვნენ დაინტერესებული, რადგან მხოლოდ ის ოჯახი შეიძლება იყოს ბედნიერი, სადაც ბედნიერია ქალი — დედა, ოჯახის ბურჯი, სადაც სუფევს ურთიერთგაგება, ურთიერთპატივისცემა და სიყვარული და სადაც საოჯახო შრომა თუ ბავშვის აღზრდის მოვალეობა მეუღლეთა შორის გონივრულად და სამართლიანად არის განაწილებული.

მხოლოდ ასეთ ოჯახში შეიძლება აღიზარდოს ოჯახისა და საზოგადოებისათვის გასახარი და საამაყო შვილი.

ასეთი ოჯახი — თბილი და მყუდრო კერა განაპირობებს ადამიანების კეთილ გუნება-განწყობილებას, შემოქმედებითს ხალისს, შრომის უხარსა და კაცთმოყვარეობას.

ასეთი ოჯახების სიმრავლე განაპირობებს ქვეყნის გამრავლება-განმტკიცებასაც, რაც კაცობრიობის ერთი ნაწილისთვის, მათ შორის ჩვენი ქვეყნისთვისაც ერთ-ერთ მწვავე პრობლემად არის მიჩნეული.

სესიამ საგანგებო ყურადღება დაუთმო იმას, თუ როგორ ეხმარება ქალს მისი მეორე ოჯახი — კოლექტივი და მთელი საზოგადოებრიობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ პავლე გილაშვილის მოხსენებაში — „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით კომუნისტურ მშენებლობაში ქალთა როლის ამაღლებისა და მათი შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების, დედათა და ბავშვთა დაცვის გაუმჯობესების საქმეში" — და ორატორების გამოსვლებში აღინიშნა, რომ ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად მრავალი მილიონი მანეთი ხმარდება საბინაო და ბავშვთა აღმზრდელობითი, კულტურული, სავაჭრო, კვების, საყოფაცხოვრებო და სხვა დაწესებულებების მშენებლობას, და კონკრეტული მაგალითებით იყო ნაჩვენები, თუ რა და როგორ კეთდება ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკაში.

მოხსენებაში და მოკამათეთა სიტყვებში აისახა ისიც, თუ რას მიაღწია ამა თუ იმ უწყების, ამა თუ იმ ობიექტის ხელმძღვანელობამ უნარიანი და გულმხურვალე საქმიანობით, და ისიც, თუ რა სავალალო მდგომარეობაა იმავე უწყების ზოგიერთ სხვა, თანაბარი შესაძლებლობის მქონე ობიექტზე — იქ, სადაც ეს უნარი და გულმხურვალება, ინიციატივა, ქვეყნისა და ადამიანის ბედით დაინტერესება შედარებით ნაკლებია.

მზრუნველ ხელმძღვანელთა წყალობით, მრავალ საწარმოში მოხერხდა მოესპოთ ან საგრძნობლად შეემცირებინათ ჯანმრთელობი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის მავნე ფაქტორები: ჭუჭყი, ჰაერის მაღალი ტემპერატურა თუ მომეტებული ტენიანობა, დამტვერიანება, დაგაზიანება, ვიბრაცია, ხმაური და სხვა, შეძლეს მოეგვარებინათ ტრანსპორტის, კვების, ნახევარფაბრიკატებით და საერთოდ სურსათ-სანოვაგით მომარაგების საკითხები, მოეწყოთ პირადი ჰიგიენისა და ბავშვთა ოთახები, დამხმარე მეურნეობები, საერთო საცხოვრებლები, პროფილაქტორიუმები, ზრუნავენ მშრომელ ქალთა საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის, მათი საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურებისათვის, ქალთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და დაწინაურებისათვის, ნაყოფიერად ეხმარებიან ბავშვთა აღზრდაში — მეთვალყურეობას უწევენ მათს სწავლას, ყოფაქცევასა და სხვ.

ისიც ითქვა, რომ ზოგიერთი მაჩვენებლით, როგორიც არის ქალთა კვალიფიკაციის ამაღლება და დაწინაურება, სამუშაო ადგილების კეთილმოწყობა, მძიმე სამუშაოთა მექანიზაცია, ბაგა-ბაღების მშენებლობა, მოსწავლეთა ცხელი კვებით უზრუნველყოფა და სხვა, ჩვენ საგრძნობლად ჩამოვრჩებით საშუალო-საკავშირო და ზოგიერთი მოძმე რესპუბლიკის მაჩვენებლებსაც. და ეს მაშინ, როცა მუშათა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის განკუთვნილი სახსრები ზოგჯერ წლიდან-წლამდე აუთვისებელი გვრჩება და იკარგება.

„საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითად მიმართულებებში აღნიშნულია — თქვა ამხ. პ. გილაშვილმა, — რომ მეათე ხუთწლედში გაგრძელდება ღონისძიებანი, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს მომუშავე ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესება. სახელდობრ, გათვალისწინებულია შემოღებულ იქნეს მომუშავე ქალებისათვის ნაწილობრივ ანაზღაურებული შვებულებები ბავშვის მოვლა-პატრონობისათვის, ვიდრე ბავშვი ერთი წლის ასაკს მიაღწევდეს, ბავშვიან ქალებს შეექმნებათ არასრული სამუშაო დღისა და არასრული სამუშაო კვირის რეჟიმი, აგრეთვე შინ მუშაობის უფრო ფართო შესაძლებლობა“.

ამასთან დაკავშირებით სესიაზე ითქვა თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მუშაობის საინტერესო გამოცდილების შესახებ. ამ ფაბრიკაში, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების დარად, **1969** წელს დაინერგა ოთხსაათიანი სამუშაო დღე. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ მუშაობის ეს ფორმა ხელსაყრელი გამოდგა როგორც მომუშავე ქალებისათვის, ისე ფაბრიკისთვისაც.

სესიამ დიდი ყურადღება დაუთმო ღამის ცვლის სამუშაოდან ქალთა გამონთავისუფლებისა და მძიმე სამუშაოთა მექანიზაციის საჭიროებას.

ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ არსებული დედათა და ბავშვთა დასასვენებელი სახლები სრულიად ვერ აკმაყოფილებს მშრომელთა მოთხოვნილებას და რომ აუცილებელია მკვეთრად გაიზარდოს მათი რიცხვი, ბაგა-ბაღების, გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების რაოდენობა; რომ საქართველოს ზოგიერთ რაიონში, განსაკუთრებით მთაში მოსახლეობა სამედიცინო კადრების დიდ ნაკლებობას განიცდის (თუმცა ამ კადრების მომზადების მიხედვით ჩვენი რესპუბლიკა კავშირის მასშტაბით პირველ ადგილზეა) და რომ აუცილებელია გამოსწორდეს ეს მდგომარეობა.

აღინიშნა ისიც, რომ აქა-იქ გვხვდება ქალთა ინტერესების მიმართ გულგრილი დამოკიდებულების ფაქტები — ფორმალიზმის, ბიუროკრატიზმის, სამართალდარღვევის გამოვლინებანი.

სესიაზე იმსჯელეს ახალგაზრდობის სოციალურ-პედაგოგიური აღზრდისა და საოჯახო ცხოვრებისათვის მომზადების აუცილებლობაზე, თქვეს, რომ საჭიროა შეიქმნას ოჯახის მომსახურების კონსულტაცია, სადაც ადამიანი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების — იურისტების, მედიკოსების, სოციოლოგების, ფსიქოლოგების რჩევა-დარიგებას მიიღებს.

სესიამ გამოიტანა დადგენილება, რომლის მიზანია დედათა და ბავშვთა მდგომარეობის შემდგომი მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, ქალთა მასების უფრო ფართოდ ჩაბმა ქვეყნის სახალხო მეურნეობასა და კულტურულ მშენებლობაში.

სესიამ მოუწოდა ყველას, ვისაც ეს საქმე ხელეწიფება, გულმხურვალედ მოეკიდონ საყოველთაო სახალხო საზრუნავს.





ნარკვევი

„გამარჯობათ, ქალბატონო ნადია!

ამ წერილს გიგზავნით შორეული ჩრდილოეთიდან, სადაც სამხედრო სამსახურს გავდივარ. გუშინ ფოსტამ ახალი გაზეთები მოგვიტანა და წავიკითხე სასიხარულო ცნობა, რომ თქვენ სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მოგენიჭათ. როგორი სიამაყის გრძნობით ავივსე! მე ახლაც სიამოვნებით ვიგონებ ჩემს ძვირფასსა და საყვარელ აღმზრდელებს, რომლებმაც ოთხი წლის წინ ცხოვრების გზა დამილოცეს. გთხოვთ, მიიღოთ ეს წერილი, ვით თქვენი უახლოესი ნათესავისაგან, გნებავთ შვილისაგან, რომელიც სოციალისტური სამშობლოს მშვიდობის სადარაჯოზე დგას და თქვენს სიხარულს მთელი გულით იზიარებს. ერთხელ კიდევ გილოცავთ მთავრობის ამ ჯილდოს. ულრმესი პატივისცემით ავთანდილ მიქაბერიძე.

**30 ივნისი, 1978 წელი**“.

თეთრი ქარი ქრის შინდისში. გზის პირას აშოლტილ ხეებს თითქოს მზეზე გახუნებიათ ფოთლები. კარგა ხანია ცას წვიმის წვეთი არ გამოუმეტებია. მზემ კი სულ მთლად გამოუშრო პირი თიხნარს და ისიც გადაირია, ქარზე აიშალა და მთელ სოფელს წამოეფინა თავს.

ცხელა. გზის პირას ჩრდილში მამაკაცები სხედან და რაღაცას ბჭობენ.

— სამნიაშვილებს ვერ მიგვასწავლით?

— ნადიას?

— დიახ, ნადიას.

— აი, იმ გზას რომ გაჰყვებით, ერთი მა-

# დამრიგებელი

ლალი შენობა შეგხვდებათ, იმ შენობას გვერდს აუქცევთ და პირდაპირ მის სახლს მიადგებით.

— გაზეთიდან ხართ? — კითხულობს პირხმელი.

— არა, ჟურნალიდან.

— ეგ კარგია, — დინჯად ასკვნის ხანშიშესული, თუმცა ნათქვამის განმარტებას არ იძლევა. — ისე, დიდი სიხარული კი გვაქვს სოფელში!

— პატარაზე რა, ამდენი ხალხი აიშლებოდა და შინდისში ჩამოვიდოდა?!

— ბევრი სტუმარი გყავთ?

— გაუზიარებელი სიხარული, ჩემო ბატონო, ნახევარი სიხარულია, რაც მეტი იქნებით, ჩვენთვისაც სახელია ეგ და თქვენთვისაც.

— ამათთვის სახელი რად უნდა იყოს? — ისევ არ ისვენებს კაფანდარა.

— რადა, შენი ჭირიმე და, იმად, რომა, ჩვენი სოფლიდან წაღებულმა სიკეთის თესლმა სხვაგანაც იხაროს, განა ეს პატარა საქმე იქნება?!

— სწორედაც არ იქნება.

— ჰოდა, ეგ ქალი სოფლის თვალია, ჩვენი შვილების გზის მასწავლებელი, აქედან გორამდე რაც გზაა, სულ მაგის ნამოწაფრები რომ დააყენა, ამ ხეს რამდენი ფოთოლიც აქვს, იმდენი სიკეთე დახვდება წინა. მართალს არ ვამბობ? ხანშიშესული ნათქვამზე დასტურს ითხოვს პირხმელისაგან და ისიც პასუხს არ აყოვნებს.

— დახვდება, მაშა!

მანქანა ადგილიდან ფრთხილად იძვრის... ასაშლელად გამზადებული თიხნარი ბორბლებს შუა წამით ყუჩდება და გრძელ შლეიფივით აღარ მოგვდევს უკან.

სამნიაშვილების ჭიშკართან მწვანეპერანგიანი მამაკაცი დგას და ეზოში შესძახის დიასახლისს.

— ნადია! გადმო ერთი, მაყვალამ სიტყვა უნდა ვუთხრაო.

ეზოდან პატარა, ჭაღარაშერეული ქალი გადმოდის და ფოსტალიონს დეპეშების დასტას ართმევს.

— შენა, ე მაგ დეპეშების კითხვაში გაგითეთრდება თმა, — ხუმრობს მამაკაცი.

— ოხ, შენ ენამადლიანო, შენა! — ნადია იცინის და თმაზე უნებლიედ ისვამს ხელს.

— ძია ვახტანგ, — აქეზებს მაყვალა, — მოსკოვში რომ გზავნიდი, გული საგულეში აღარ გედო არა?

— უ, შე მზით დასაბერებელო! — უტევს ძია ვახტანგი და თან ისეთი თვალებით უყურებს ცოლს, გეგონება ახლა დაინახა პირველადო. — ეჰ, ბუნების ძალა თორემ, ლამაზი ქალი ეგრე ადვილად არ უნდა ბერდებოდეს.

ნადია სამნიაშვილი წერილებისა და დეპეშების მორიგ დასტას გულში იხუტებს და შინ შედის.

სახლი პატარაა, გზიდან არც კი ჩანს, რამდენჯერ ჩამოსულა და ასულა ამ კიბეებზე, რამდენი ფიქრი აუტანია თან, მაგრამ ამდენი სიხარული კი, ალბათ, არასოდეს უზიდავს.

აივანზე გრილა, ქარი ფურცლებს აფრიალებს და წაკითხვას არ აცლის.

**„ჩემო ნადია!**

**წინ მიდევს გაზეთ „სახალხო განათლების“ 30 ივნისის ნომერი. შევცქერი შენს სახეს და თითქოს გესაუბრები პირისპირ. მეამაყება, რომ ასეთი სახელოვანი ქალი ჩვენს შორისაც აღმოჩნდი. გესაუბრები ფიქრით მეტს, ვიდრე წერილით გადმოგცემ. გილოცავ მთავრობის ჯილდოს. ბევრისათვის მიგიღწევია და გისურვებ კვლავ გამეგონოს შენი ქება ღირსეულთა შორის. გეხვევი მონატრებით. შენი ნელი კეჭახმაძე“.**

თანაკურსელებმაც გაიხსენეს და, საერთოდ, რამდენი სიყვარულის დატევა შეძლებია ამ პატარა გულს! ოცდათორმეტმა წელიწადმა ერთ დღესავით გაირბინა. სად არ მიმოიფანტნენ მისი აღზრდილები, თანაკლასელები, თანაკურსელები. ყველა თავის საქმეს მიეჯაჭვა, ურთიერთობათა ძაფები დაწყდა, ცხოვრების ფერხულში ჩაბმულებმა ერთმანეთი დაივიწყეს. დაივიწყეს კი?! აი, ერთმა პატარა ამბავმა ყველანი ერთად შეჰყარა. რა საიმედო ყოფილა ხსოვნა გულისა.

ერთად ვიანგარიშეთ — საშუალოდ ოთხი ათასამდე მოსწავლისთვის დაულოცია ცხოვრების გზა ნადია სამნიაშვილს, ე. ი. ოთხი ათას სიყვარულად დანაწილებულა.

ყველას უყვარდა კი?

— უყვარდაო?! — შეკითხვის დასმაც კი აღელვებს ვახტანგ კაპანაძეს.

— რადა უყვარდა? უყვარს! — გვისწორებს ზაქრო. ეს ვაჟიშვილი გახლავთ.

— მაშ გვარად სამნიაშვილიც არ იქნებოდა.

— კაპანაძე ქმრის გვარია?

— დიახ! ამ ოჯახში კაპანაძეები უფრო მეტნი ვართ, ჩვენი ვაჟიშვილები — ზაქრო და გია, ჩემი შვილიშვილები — ნათია და ნინო და ამ ერთმა სამნიაშვილმა კი ყველას გვაჯობა მაინც.

— შენ კი დაგიშაქრდა ეგ ენა, შენა!

— გიორგაძეების ჭალაში ზურგზე აკიდებული რომ დამყავდი, იმიტომაც იკარგქალე!

— რაზე ამბობს?

— კოშკის სკოლაზე. რა დიდ გზას გავდიოდით, სკოლამდე რომ მიგვეღწია. ხელში დედის შეკერილი აბგა გვეჭირა, ზედ სამელნემიკერებული. ბნელი ჭალა უნდა გაგვევლო. უამინდობაში ლაფში ვეფლობოდით და ბიჭები მარჯვობდნენ. სულ ნაქირავებ ბინებში იყო კლასები. ერთი გაკვეთილი რომ ერთ სახლში გვექნებოდა, მომდევნო მეორე სახლში იყო. სამი კილომეტრი იქით, სამიც აქეთ, თოვლ-ჭყაპი რომ წამოვიდოდა, თავბედს გვაწყევლინებდა, მაგრამ სწავლას ისე ვიყავით მოწყურებული, რომ თავს გავიმეტებდით, სკოლას კი ვერა.

— რას გაიმეტებდი, როცა ამდენი თვალი შემოგცქეროდა.

— შენ ისა სჯობია თქვა, კლასში როგორ დარჩი ჩემი გულისთვის?

ვახტანგს ეღიმება. მართლა ასე იყო. მის მომავალ მეუღლესთან ახლოს მისასვლელი გზა რომ გაეკაფა, კლასში დარჩენა ამჯობინა, მერე ვეღარავინ შეეცილებოდა მეგზურობაში. გიორგაძეების ჭალასაც სძლიეს, ქარბორბალასაც და ყინვებსაც.

როდის იყო კარგად არც ახსოვს — 38 წელი თუ იქნებოდა, იქნებ 39 იყო, კინოქრონიკის მუშაკებმა ნადია რომ გადაიღეს, როგორც შინდისის საშუალო სკოლის საუკეთესო მოსწავლე. შემდეგ იმავე სკოლას დაუბრუნდა, თუმცა სხვა ჭერქვეშ დაბინავებულს.

კლასში რომ შევიდა, არაფერი ეუცხოვა, რადგან პიონერხელმძღვანელად მუშაობდა და ბავშვებთან ურთიერთობის არც განახლება და არც თავიდან დაწყება არ დასჭირვებია, მხოლოდ ის, რასაც მასწავლებლობა ერქვა, ერთბაშად მოვიდა. აი ისე, ფილმებში რომ ხდება. კლასში სხვის ნაცვლად შევიდა დროებით და მერე ეს „დროებით“ 32 წელიწადად გაიჭიმა.

„მოუთმენლად ველოდით ნადია მასწავლებლის შემოსვლას. ჩვენ ხომ მისი გაკვეთილი გვქონდა. გაღიმებული სახით შემოაბიჯა კლასში. თვალებში ჩვეულებრივზე მეტი სითბო ჩასდგომოდა. გარინდებულ კლასს თვალი მოავლო. ზღვა სიხარულს ვერ იტევდა გული. როგორც ყოველთვის, ერთმანეთს არ ვაცდიდით გაკვეთილის მოყოლას, ყველანი ვცდილობდით მის გახარებას, თითქოს ამით გვსურდა კიდევ ერთხელ მიგველოცა ის დიდი სიხარული, რომელსაც ყველა იზიარებდა“...

ეს სტრიქონები მოგვიანებით დაიწერება, ამ 32 წლის გავლის შემდეგ, მანამდე კი შორი და ძნელი გზაა სავალი. ამ გზაზე რამდენ ხასიათს უნდა შეხვდეს!

ოჰ, შაქრო, შაქრო. ახსოვს, რა სიმწარე აგემა. მაგრამ ახლა ტრაქტორის საჭეს რომ უზის, გულსაც უხარია და თვალსაც. რამდენჯერ გაიპარა სახლიდან, როგორ აიცრუა გული სწავლაზე. ყველამ ხელი რომ ჩაიქნია, სწორედ მაშინ თქვა ნადია მასწავლებელმა, „მაჩუქეთ ეს ბიჭიო“, და „აჩუქეს“. მისი სულის „ოქროს გასაღები“ ეძია და იპოვა კიდეც. კითხვა არ უყვარდა შაქროს, ხატვა — კი. ჰოდა, ასე უთხრა მასწავლებელმა, — ნუ წაიკითხავ, მხოლოდ დამიხატე ის, რაც შიგ წერიაო. ბიჭი დაეთანხმა და საკუთარ მახეში გაება. აბა, რა უნდა დაეხატა, თუ არ ეცოდინებოდა შიგ რა ეწერა. ხატა და ხატა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახარებულმა, რადგან იმ გადაგდებულ წიგნებში იმდენი საოცრება აღმოაჩინა, რომ სული აუფორიაქდა, მთელი ქვეყნიერება ელაპარაკებოდა და ის კი, თურმე, რა სიმდიდრეზე ამბობდა უარს.

— გჯერათ, — ამბობს ნადია სამნიაშვილი, — შაქრო რომ დამინახავს, მისი ტრაქტორით სულ სხვა ხმაზე იწყებს გუგუნს.

— არ ხუმრობს, — საუბარში ერთვება შემოსწრებული სტუმარი. — გვჯერა, რომ ასე იქნება, რადგან შინდისში თუ კი თეთრი ქარი ახერხებს ჩადგომას, როცა საჭიროა, რა იქნება რომ ტრაქტორიც სხვა ხმაზე იწყებდეს გუგუნს.

— ჩემი ყველაზე დიდი სკოლა, ჩემი მოსწავლეებია, მათი გული და გონიერება, მათი ცხოვრება.

Уважаемая Надежда Ражденовна!

Шлю вам сердечный привет из Молдавии. Примите мои поздравления. Зовут меня Марья Кирика. Мне уже 16 лет. Учусь на 4 и 5. О вас я читала в газете и сразу решила написать. Твердо убеждена, что вы исключительно душевный человек и ученики у вас особенные.

„მოსწავლეები განსაკუთრებული გეყოლებაო!“. ეგ კი მართალი მოიწერა იმ პატარა უცნობმა გოგონამ. მარტო მარინე გაგნიძე რად ღირს! როგორ თამამად იცავდა საკუთარ აზრს, როცა ნინოშვილის გმირებზე საუბრობდნენ: მე შეუპოვრობის მომხრე ვარო, ცხოვრება ათასგვარ ამოცანას აწყვეტინებს ადამიანს და ბედს კი არა, საკუთარ გუმანსა და ნააზრევს უნდა ენდოო. საკუთარი სხეულის გაკაჟება თუ შეიძლება, განა სული ნაკლებ მორჩილია, განა სული ჩვენს ხელთ არ არისო!? გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ახლანდელი დირექტორი რევაზ კანდელაკი ესწრებოდა მაშინ ღია გაკვეთილს და მოიწონა იგი. მოიწონა ის, რომ მასწავლებელს ბრმად არ მიჰყავდა მოსწავლეები თან, ცხოვრებისეულ ამოცანათა ლაბირინთებში ატარებდა და გამოსავალს აძებნინებდა, აკამათებდა, მსჯელობის საშუალებას აძლევდა. დასკვნა, რომელიც ნადია სამნიაშვილს შეუმჩნევლად გამოჰქონდა, სამუდამოდ იბეჭდებოდა მათ მეხსიერებაში, როგორც საკუთარი ნააზრევი. ეს იყო კოლექტიური გაკვეთილი, ჭეშმარიტი პედაგოგის უნარიანი ხელით წარმართული, სადაც მოსწავლის პოტენციური შესაძლებლობანი ფართო გასაქანს პოულობდა, იგი თავის ნიჭსა და უნარს ავლენდა. გაკვეთილი მოუწონეს და სხვებისათვის მისაბაძად ჩათვალეს. ასე დაიწყო ღია გაკვეთილები, რომლებსაც სხვადასხვა სკოლიდან მისი კოლეგები ესწრებოდნენ. პედაგოგიური ალღო, ტაქტი, მოსწავლეებთან კონტაქტის დამყარების დიდი უნარი, ბავშვთა ფსიქოლოგიის უზადო ცოდნა, საკითხში ღრმად წვდომის უნარი, სიყვარული და თავდადება მინდობილი საქმისათვის, თავდავიწყებამდე საკუთარი პროფესიით გატაცება — აი როგორი დასკვნა გამოჰქონდა თითოეულ დამსწრეს ამ გაკვეთილებიდან.

— მე ისეთი პედაგოგები მყავდა, რომ ღალატი იქნებოდა მათი ნაჩვენები გზის გამრუდება, — სავლე სარალიძე, დიმიტრი თავყელიშვილი, ლუკა მაღლაფერიძე მუდამჟამს გვინერგავდნენ მშობლიური ენის, მშობლიური ლიტერატურის სიყვარულს.

ეს მარტო პოეზიით ან რომელიმე მწერლის შემოქმედებით გატაცება როდი იყო. აი, დედაჩემი ბაბედა სამნიაშვილი, უსწავლელი ქალი, ამას გუმანით ხვდებოდა და ყველა ხალხური ლექსის, ხალხური თქმულების მადლსა და სიკეთეში ისე მახედებდა, როგორც ცხოვრების სარკეში. მარცვალ-მარცვალ კრებდა შიგ გაბნეულ სიბრძნეს და კრიალოსანივით მიკინძავდა. ჩემმა მასწავლებლებმა კი ამ სიბრძნეს უფრო მეტი გასაქანი მისცეს და მეც მივხვდი, რომ ადამიანი სილამაზისა და მშვენიერების კვალს უნდა მისდევდეს, რომ იგი მიწასთან ერთად სიტყვის საძირკველსაც უნდა ეყრდნობოდეს. ბავშვს მის გარშემო ამოუხსნელი არაფერი უნდა დარჩეს. აი, მარტო შინდისზე რამდენი ლეგენდაც არის, ყველა უნდა დაიძებნოს, ყველა უნდა იცოდეს, და მაშინ განყენებულ, უცხო სამყაროში კი არ იცხოვრებს, არამედ მის მიერვე გახსნილსა და დანახულში. მშობლიური ლიტერატურის სიყვარულიც ასეა!

რადგან სწორედ ამ სიყვარულის საფუძველზე აღიმართება თვალშეუდგამი კოშკი იმ დიდი გრძნობისა, რომელსაც სამშობლოს სიყვარული ჰქვია.

რამდენი საფიქრალი გასჩენია მასწავლებელს. ყველაზე დიდი კი დროა, რომელიც არ იცდის, რომელიც არ ჰყოფნის მას, როგორც დედას, როგორც ბებიას, როგორც დიასახლისს, როგორც საზოგადო მოღვაწეს, როგორც მასწავლებელს.

ეს რა თეთრი ქარი სცოდნია შინდისში ჩამავალი მზე ახლა ვარდისფრად ღებავს მორუხო ფოთლებს. ისევ ილევა დღე და მატულობს საზრუნავი.

— რას ინატრებდით? — ვეკითხებით დამშვიდობებისას.

— ალბათ, ერთცვლიან სწავლებას, რადგან ყველაფერ იმას, რასაც უნდა გავწვდე მხოლოდ საკლასო ოთახში ვერ გადაწყვეტ. ცხოვრება ყოველდღე გვაწვდის ახალ გაკვეთილებს, რომლებსაც ახსნა და ჩაწვდომა სჭირდება. ჩემივე მოსწავლეების სულიერი მისწრაფების სწორი ამოკითხვა, ჩემი ყველაზე პასუხსაგები ამოცანაა.

ნადია სამნიაშვილი მაგიდიდან ბოლო ბარათს იღებს.

**„თქვენთვის უცნობი, მაგრამ საერთო საქმით ახლობელი ქუთაისის ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის პირველი საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი გილოცავთ თქვენი დიდი ღვაწლის დაფასებას, სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებას. მთავრობის ეს მაღალი ჯილდო თქვენთან ერთად ეკუთვნის ყველა ქართველ მოწინავე პედაგოგს“**

ჭეშმარიტად, ეკუთვნის!

მარიკა ბაქრაძე

თამარ ჩხაიძე

## ბიჭი და ჩიტი

ერთი ბიჭი, ბიჭუკელა
რომ ულიმის ყველას, ყველას.
გადმომდგარა სერზედა,
ჩიტი უზის ხელზედა:
— გაფრინდიო მერცხალო,
დაგელოცოს ზეცაო.
იქით არის თბილისი.
აქეთ არის მცხეთაო,
დამიბრუნდე, ვინ იცის,
მე აქავე დაგიცდი- —
გააფრინა, გააქროლა,
და გულიც თან გააყოლა.
დრო ჟამია დაისის,
ამბობს, ცოტას დავიცდი,
იქითაა კრწანისი
აქეთაა მცხეთაო,
საითაც ხარ მერცხალო,
დაგელოცოს ზეცაო!

ალექსი რაზიკაშვილი
ჩარგლის რვაწლიანი
სკოლის პედაგოგი.

## დედის ბარათი სოფლიდან ქალაქში

შვილო ამოდი, ამომხედე,
მამის სახლს თვალით გადმოხედე,
სოფელთან იყავ წილდებული,
მშობელი ნუ გყავ მიგდებული.
ზოგიც ირწმუნე ძველებური,
მამა-პაპიდან ხსენებული,
ჭირი სჯობია მხილებული,
სილაღით გამოტირებული,
ვინ არის კაცად მილებული,
მშობელთან გამორიდებული?
მტერი გამიხდა მახლობელიც,
უწინ ერთგული მწყალობელი,
გაველდა ხარი დასაბმელი,
ულელში არი შესაბმელი.
ამოდი, სახლი დამენგრევა,
უშენოდ თვალნი დამეთხრება,
ხალხის საძრახი დაგედება —
ცოცხალს თუ მიწა დამეყრება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაღალი ჯილდო



როდესაც მასზე საუბრობენ ანდა პრესაში წერენ, ეპითეტი „დამსახურებული პედაგოგი" არაერთგზის მეორდება.

დამსახურებული პედაგოგი...

ვეტერანი...

საბჭოთა სკოლის თავდადებული მოამაგე...

უფროსი მეგობარი...

მრჩეველი...

ასეთია მარიამ ქართველიშვილი, რომლის ცხოვრება ჩვენი სახალხო განათლების დიდ საქმეს გასდევს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იმედებით აღსავსე ახალგაზრდობა დაიძრა უნივერსიტეტისაკენ, იგონებს ქალბატონი მარიამი. ჩვენთან, სამტრედიაში, გამოცდილი ბოლშევიკები — სპირიდონ კიკაჩეიშვილი, ვანო სტურუა და ილარიონ სოხაძე ახალგაზრდებს გვირჩევდნენ დავწაფებოდით ცოდნას, ქვეყანას სჭირდებოდა მათემატიკოსები, ფიზიკოსები, ფილოლოგები...

სულ ახალგაზრდა გოგონამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩააბარა მისაღები გამოცდები 1924 წელს მათემატიკური განყოფილების საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. მადლიერებით იხსენებს მეცნიერების კორიფეებს — ივანე ჯავახიშვილს, გიორგი ახვლედიანს, ანდრია რაზმაძეს, ალექსანდრე დიდებულიძეს, ალექსანდრე თვალჭრელიძეს და სხვებს, რომლებმაც დიდი ამაგი დასდეს ახალ კადრებს.

1932 წელს კომკავშირული ნათლობა მიიღო. კვლავ მშობლიურ მხარეს მიუბრუნდა და სოფელ პატრიკეთის თემის სკოლაში დაიწყო მუშაობა ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებლად. ეს წლები (1928-30 წლები) დარჩა მის ცხოვრებაში რომანტიკად. „ახლაც მაკვირვებს ჩემი თაობის მაშინდელი შემართება! ჩვენ მიწის მუშებიც ვიყავით და იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებიც.."

1930-32 წლებში, სამტრედიის მთაგორიან, წითელნიადაგიან ზონებში ჩაის გაშენებისათვის ნიადაგის დამუშავების პრობლემა დაისვა. ოფეთს, საჯამიასერს, საჯავახოს მოედო მოსწავლეთა ბრიგადა, რომელსაც ახალგაზრდა პედაგოგი მარიამ ქართველიშვილი ხელმძღვანელობდა. ახსოვს იმ დღეთა სიძნელენი: უგზოობა, სიცივე, წვიმა... 20 დღეში 5 ჰექტარი მიწა დაამუშავეს კომკავშირლებმა... „ჩვენ მთიან ზონაში პირველებმა დავკარით მიწას ბარი"..

მას შემდეგ, მრავალი წელი გავიდა. და მაინც იხსენებს იმ ხანას, ვით პირველ გამარჯვებას.

საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, სკკპ წევრი 1939 წლიდან, შრომის პირველი დამკვრელი, წარჩინებული მასწავლებელი პირველსა და მეორე ხუთწლედში,— იგი წლების მანძილზე ასწავლიდა ქიმიას, ფიზიკას, ბიოლოგიას ქუთაისსა, სამტრედიასა და თბილისში.

არის შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის" ორდენის კავალერი, აქვს ბევრი მედალი, სამკერდე ნიშანი და სიგელები...

ქალბატონ მარიამს ემაყება, რომ მისი აღზრდილები, თბილისის ვაჟთა მე-6 და 55-ე საშუალო სკოლის ყოფილი მოსწავლეები ერთგულად ემსახურებიან სამშობლოს. მათ შორის ბევრია მეცნიერი, პარტიული მუშაკი, მწერალი... სათითაოდ იხსენებს ყველას, მათ ბავშვობას, მათ ნიშნებს, მათ თვისებებს...

მარიამ ქართველიშვილს უყვარს ახალგაზრდობა, უხარია, როდესაც თავისი მდიდარი ცხოვრების გამოცდილებას უზიარებს. ალბათ, ამ მიზანდასახულობით დაწერა და გამოაქვეყნა რამდენიმე მეთოდიკური შრომა. არანაკლებ ახარებს თავის ყოფილ მოსწავლეებთან შეხვედრა: ამდენი წლის შემდეგაც სწორედ თავად სცნობს, გვარითა და სახელით მიმართავს. გასაოცარია აღმზრდელის დიდებული ალღო: — „ეჰ, შევიცვალე, შვილო, ველარ მცნობენ". სევდანარევი ღიმილით ამბობს. მაგრამ მხოლოდ წამით. მერე კვლავ ეუფლება თავს, ომახიანად, ენერგიულად არიგებს ყველას, ვისაც მისი კეთილი სიტყვა სჭირდება, ამხნევებს... უაღრესად კეთილი, პუნქტუალური, ხალისიანი, — ასეთად იცნობენ ქალბატონ მარიამს ახალი მეზობლებიც. მისაბაძი და სანიმუშოა მისი მიდგომა მასწავლებლის მაღალი პროფესიისადმი. „დიდებული პედაგოგია, დიდებული!" — გვითხრეს მარიამ ქართველიშვილის ყოფილმა მოსწავლეებმა. და ამაზე მაღალი ჯილდო, ალბათ, არ არსებობს მასწავლებლისთვის. ერთი დიდი სიხარული გაგვიზიარა ქალბატონმა მარიამმა: მისი ქალიშვილი დედის გზას განაგრძობს. მშობლიურ 126-ე საშუალო სკოლაში მადონა მდივნიშვილი გეოგრაფიას ასწავლის.

ეს ხომ დედისათვის უმაღლესი ჯილდოა!

ნაზი კილასონია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს თავდადებული შრომით უპასუხებენ



# თელეთის თეთრი ნაკადულები

მეურნეობის დირექტორი პ. რაზმაძე ესაუბრება მუშებს

ყოველ დილა-საღამოს თელეთიდან თბილისში მოიჩქარიან ავტოცისტერნები წარწერით „რძე".

ყოველ დილა-საღამოს ექვსი ათასამდე კილოგრამ რძეს უგზავნიან თელეთელები დედაქალაქის მშრომელებს.

ასეა წელიწადის 365 დღეს.

ექვსი ათას კილოგრამიანი თეთრი ნაკადული თელეთის ექსპერიმენტული მეურნეობის მერძევეობის კომპლექსში იღებს სათავეს.

კომპლექსში მთელ წელიწადს ფურებს ღია მოედანზე, დაუბმელად ინახავენ. უნდა ნახოთ, რა ლამაზია, გადაბიბინებულ საძოვარს შავჭრელი ფურები რომ მოეფინება!

ფურებს ღია მოედანზე აძლევენ გათიბულ ბალახს, სენაჟს, თივას, გაჰყავთ საძოვარზეც.

წველის საათები რომ მოახლოვდება, ფურები საწველ დარბაზში შესასვლელად რიგში დგებიან, ეს ჩვევად გამოუმუშავდათ. წველის დროს მათთვის მზად არის კომბინირებული საკვები.

ერთი მწველავი გონიერი მანქანებით ას ფურს წველის ორ-ორნახევარ საათში. რძე მინის მილებით სარძეო საამქროში მიედინება, სადაც პასტერიზაციას უკეთებენ, აცივებენ, ავტოცისტერნებში ასხამენ და... თბილისისაკენ გზავნიან.

ერთი მწველავი ზოგჯერ დღეში ერთ ტონა რძეს მატებს თელეთის თეთრ ნაკადულს.

ემზარ მერაბოვის ბრიგადაში ფურზე დღეში საშუალოდ თხუთმეტ კილოგრამ რძეს წველიან. 100 ფური ჰყავთ და 1500 კილოგრამ რძეს იღებენ. ბრიგადა დამკვრელურ წელს ფურზე საშუალოდ ოთხი ათასი კილოგრამი რძის მისაღებად იბრძვის, მთლიანად კომპლექსში კი სამი ათასი კილოგრამისათვის იბრძვიან.

ნინო წიკლაური, მერი ქოჩორაშვილი, თამარ წამალაშვილი, ლენა ერდმანი, ნანული ვართანოვა, სერგო ლალაშვილი, ევა გარბაშევა... მეგობრულად ცხოვრობს ეს ინტერნაციონალური კოლექტივი და შრომაც მაღალნაყოფიერია. მათი მარჯვენის ბარაქაა, ასე უწყვეტად რომ მოედინება თეთრი ნაკადული თელეთიდან თბილისში.

თელეთელებმა საიუბილეო წელს ნაცვლად 1. 030 ტონისა 1. 400 ტონა რძე მიჰყიდეს სახელმწიფოს, აწარმოეს კი გაცილებით მეტი.

დამკვრელურ წელს დამკვრელური მაჩვენებლებისათვის იბრძვიან. 1. 400 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მივყიდით 1. 600 ტონა რძეს! — ჩაწერილია სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულებებში. შვიდ თვეში უკვე დამზადდა 935 ტონა რძე — შარშანდელზე 140 ტონით მეტი.

შ ე მ დ გ ო მ შ ი?

შემდგომში თელეთის მერძევეობის კომპლექსის რძის ნაკადულები მდინარეებად გადაიქცევა, მომავალ წელს თელეთელები 2 ათას ტონა რძეს მიჰყიდიან სახელმწიფოს, 1980 წელს კი 2.400 ტონას. კომპლექსში ათასი სული მაღალპროდუქტიული ფური რომ ეყოლებათ, აბა, მაშინ ნახეთ რძის წარმოების ზრდა.

თელეთში ამბობენ — მაგისტრალური გზა რძის წარმოების გადიდებისკენ მიდისო. კარგად არის ნათქვამი.

ამ გზაზე, პირველ რიგში, საკვები ბაზის განმტკიცებისათვის ზრუნვა იგულისხმება.

საქართველოში კი არა, კავშირის მასშტაბით ვერსად შეხვდებით ისეთ კულტურულ საძოვრებს როგორიც თელეთშია. ავტომატურ სარწყავ მინდორში გალაღდა ნათესი ბალახი, წელიწადში ხუთჯერ ითიბება მწვანე მასა, ჰექტარზე საშუალოდ 400 ცენტნერ მოსავალს იღებენ.

თავს იწონებენ თივისა და ნამჯის ვეება ზვინები, ორმოებში საიმედოდ არის დაბინავებული სენაჟი და სილოსი. კომპლექსური მექანიზაციის გამოყენებით გამრჯე მექანიზატორებმა იმდენი საკვები დაამზადეს, რომ წელიწადნახევარს გამოკვებავს მეურნეობის პირუტყვს.

საკვები კი, მოგეხსენებათ, მთავარია მეცხოველეობის აღმავლობისათვის. ტყუილად კი არ არის ნათქვამი — ფურს რძე ენაზე აქვსო.

* * *

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმებმა ხორცის წარმოების გადიდება უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახა. თელეთელებს ამ ფრონტზეც მისაბაძი გამოცდილება აქვთ.

ხორცის წარმოების გადიდებისათვის ზრუნვა ხბორების ინტენსიური სუქების დანერგვით დაიწყეს. ახლახან ხორცკომბინატს ჩააბარეს კარგად ნასუქი 50 სული დეკეული და მოზვერი, რომელთა საშუალო წონამ 400 კილოგრამს მიაღწია. ასეთ პირობებში მეურნეობა თითქმის ერთიორად მეტ ანაზღაურებას იღებს, ჩაბარებული ერთი სული პირუტყვის შემოსავალმა 1. 200 მანეთი შემატა მეურნეობის სალაროს.

ასი სული მოზარდი კიდევ დგას ინტენსიურ სუქებაზე; ამის ნახევარი საახალწლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაბარდება ხორცკომბინატს, ხოლო ჩაბარებულის ნაცვლად მოზარდის ახალი ჯგუფი დადგება ინტენსიურ სუქებაზე. და ასე, უწყვეტი კონვეიერით მიაწოდებს ხორცკომბინატს მეურნეობა მძიმე წონის ნასუქ პირუტყვს.

თელეთში ამოქმედდა ხორცის წარმოების მეორე, კიდევ უფრო მძლავრი კონვეიერი — ერთი წელიც არ არის, რაც მოეწყო იხვების ფერმა და, უნდა ნახოთ, რა სწრაფად გამრავლდა ეს ფრინველი!

საიხვისათვის სპეციალური შენობები არ აუგიათ, მწყობრიდან გამოსული შენობები გადააკეთეს და შიგ იხვის მომრავლებას მიჰყვეს ხელი. ფერმაში ყველა ასაკის 120 ათასი ფრთა იხვია, ამის ნახევარზე მეტი ერთდღიანი იხვის ჭუჭული რესპუბლიკის მეურნეობებს მიჰყიდეს მეიხვეობის ფერმების მოსაწყობად. დიდძალი იხვის ჭუჭული მოსახლეობამ შეიძინა საკარმიდამო მეფრინველეობისათვის.

350 ტონა იხვის ხორცი უკვე მიეყიდა სახელმწიფოს, წლის ბოლომდე 250 ტონა კიდევ მიეყიდება.

ეს წელს.

გაისად კი სახელმწიფოს მიეყიდება ათას ტონამდე იხვის ხორცი.

თელეთელებს კარგი ტრადიცია აქვთ — გამოუყენებელ რეზერვს სიუხვის სამსახურში რომ ჩააყენებენ, კარგად დაწყებულ საქმეს კარგად აგვირგვინებენ.

— არ გვეგონა, — გვითხრა მეურნეობის დირექტორმა ავთანდილ რაზმაძემ, — მეიხვეობა თუ ასე ხელხვავიანი გამოდგებოდა ხორცის წარმოების გასადიდებლად. პარტია მოგვიწოდებს გავადიდოთ ყოველგვარი ხორცის წარმოება. გამოცდილებით დავრწმუნდით, რომ ამ ამოცანის შესასრულებლად მეიხვეობა ყველაზე ხელსაყრელია.

ამიტომაც არის, რომ თელეთის მაგალითისამებრ რესპუბლიკაში ახლა ბევრგან მომრავლდა იხვი.

ნათქვამია, წინა კაცი უკანასი ხიდიაო. თელეთელთა გამოცდილება ბევრს შთააგონებს იაროს ამ გზით.

* * *

თელეთის ექსპერიმენტული მეურნეობა მარტო ფერმებით არ გეგონოთ სახელგანთქმული. აქ ხეხილის ბაღებიც შესანიშნავია და ზვრებიც, მინდორიც და ბაღ-ბოსტანიც.

მიხეილ ივანეს ძე კალინინი აგრონომს მინდვრის ტექნოლოგს უწოდებდა. მინდვრის ტექნოლოგის, მეურნეობის მთავარი აგრონომის ტარიელ კურცხალიას დამსახურებაა, რომ მინდორშიც უხვი მოსავალი მოჰყავთ და ზვრებშიც, ბაღებშიც და ბოსტანშიც.

დამკვრელურ წელს განსაკუთრებით ისახელეს თავი მხვნელ-მთესველებმა. ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 35 ცენტნერი ხორბალი. ქვეყნის ბეღელში ნაცვლად 400 ტონისა შეტანილია 800 ტონა ხორბალი, მარანში ნაცვლად 140 ტონისა 200 ტონა



ფერმებთან საკვების სიუხვეა



ფურები ღია მოედანზე



თელეთში იხვი მომრავლდა

თელეთური ყურძენი დაიწურება, მშრომელთა სუფრას ბაღ-ბოსტნებში მოწეული 400 ტონა ხილი და 600 ტონა ბოსტნეული შეემატება.

ასეა, როცა საერთო მონდომებაა, მეურნეობაში ყველა დარგი ინტენსიურად ვითარდება და ამით ქვეყნის ხვავი და ბარაქაც მატულობს.

და ერთი ციფრიც, რომელიც ყველაზე შთამბეჭდავად მეტყველებს თელეთელთა კარგ საქმეებზე: მეურნეობა 100 ათასი მანეთის მოგებით დაამთავრებს დამკვრელურ წელს.

ერთხელ საპატიო სტუმრებს ელოდნენ თელეთში. ავთანდილ რაზმაძემ ყვავილებისათვის თბილისში აფრინა კაცი.

ამ დალოცვილ მიწაზე, რა გინდა, რომ არ ხარობს, ყვავილები, აბა, როგორ არ უნდა გვქონდესო, — თქვა დირექტორმა და... თელეთელებს ახლა ჩინებული ყვავილნარიც აქვთ, საპატიო სტუმრებსაც საკუთარი ვარდებითა და ზამბახებით ეგებებიან და შეჯიბრების მოწინავეებსაც სიხარულის, გამარჯვების ნიშნად ყვავილების თაიგულს გადასცემენ ხოლმე.

დავით ქათამაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი ჯოხაძე

# გაზაფხული

მოთხრობა

მე მისი თვალები გაზაფხულს მაგონებდა.

დამერწმუნეთ, მართლაც გაზაფხული იყო.

გავიცანი მაშინ, როცა გარემოს თეთრი ნაბადი ემოსა, როცა ყველგან ყველაფერი გაყინული იყო, როცა გულში სისხლი ყინულის კენჭებივით ხტუნაობს, როცა სიო ყინულის ნამსხვრევებივით ხვდება ადამიანს სახეში და როცა საუბარიც კი ყინულზე უფრო ცივია.

ზამთარი იყო...

და აი, ზამთარში გაზაფხულს ჩამოვართვი ხელი.

უცებ ყველაფერი შეიცვალა: გარშემო დათბა, გადნა ყინული და გულშიც სისხლის კენჭები გალღვნენ, ნაკადულებივით არაკრაკდნენ, შემაწითლეს, გულიც გაათბეს და თვალებშიც ღელვა დამამჩნიეს.

ჩემი სახელი ვუთხარი, მან კი თავისი გამანდო. მას ერქვა... ან რა საჭიროა? ის გაზაფხული იყო და დაე, „გაზაფხული“ ერქვას!

მერე მე და გაზაფხულმა გავსწიეთ ერთად. რაღაცაზე მეტიტინებოდა. მგონი, მეც ვჟღურტულებდი. მგონი-მეთქი, ვამბობ, თორემ რაზე ვსაუბრობდით, ახლაც არ მახსოვს. მახსოვს მხოლოდ ის, რომ მისი სიახლოვე, მისი სურნელება თავბრუს მახვევდა.

და გაზაფხულიც ხომ ასეთია: შემოგახვევს მთელ თავის სიცოცხლეს, მთელ თავის სიტურფეს, დაგაბნევს და გაგაოგნებს.

ის გაზაფხული იყო-მეთქი!

— სად მიდიხარო? — შემეკითხა.

— შენთან! — ვუპასუხე და ჩემს პასუხზევე გავწითლდი. გავწითლდი იმიტომ, რომ მან გაიცინა, გაიცინებდა მაშ, რა? „შენთან“, რომ ვუთხარი, მე რა მისი ძველი ნაცნობი ვიყავი, მისვლა რომ გამებედა!

— ხუმრობის გუნებაზე ყოფილხარ, ბიჭო! — მითხრა კვლავ.

რაღა მეთქმოდა? მგონი „ჰო“ ვუთხარი და უფრო გულიანად დაიწყო სიცილი. იცინოდა და მეც გულიანად ვხითხითებდი.

ო, რომ იცოდეთ, იმ შუაგულ ზამთარში როგორ ცხელოდა?

მერე, მერე მე რა მაცინებდა, იცით?

მე ის მაცინებდა, რომ ჩვენ გვერდით მობუზული ხალხი დადიოდა, არავინ გვაქცევდა ყურადღებას. უსულგულოებად ჩავთვალე. გაზაფხულს ვერ გრძნობდნენ და...

ჩაგვივლიდნენ ყინვისაგან მობუზულები.

მე კი...

— სწავლობო? — შემეკითხა.

— ჰო, სტუდენტი ვარ! — სერიოზულად და ამაყად მივუგე კიდეც.

— მართლა? — თითქოს გაიოცა. მერე თავი მტკიცედ დავუქნიე და განაგრძო.

— ყოჩაღ, — მგონი შემაქო, — კარგია!

გაზაფხული რომ იღიმებოდა, თითქოს მხოლოდ ჩემთვის იშლებოდა მარტო, მარტო ჩემთვის აფრქვევდა იმ საამო სურნელს, სიყვარულის სურნელს.

ჩვენ იმ დღეს ბევრი სისულელე ვთქვით ალბათ, აღარ მახსოვს. მახსოვს მხოლოდ ის რომ, დალაგებით არ გვისაუბრია.

დავცილდით და „მშვიდობით“ არ მითქვამს. „ნახვამდის-მეთქი“. „ნახვამდისო“, — იმანაც მიპასუხა და ხელის ქნევით მიიხურა თავისი ეზოს ჭიშკარი. წამოვედი იქიდან და გული ფეთქვასთან ერთად იმეორებდა — „ნახვამდის, ნახვამდის, ნახ... როდის?“

— უნდა ვნახო, უნდა ვნახო, უნდა ვნახო და... რაც შეიძლება მალე! — სიმტკიცის ნიშნად პალტოს ღილებს შეკვრა დავუწყე. გაზაფხულს მოცილებულს სიცივე შემომეპარა.

დღე დღეს მისდევდა. ზამთარი წელში ტყდებოდა. ზამთარი წელში ტყდებოდა და მასთან ერთად ჩემი იმედებიც.

მე ველარ ვნახე გაზაფხული მაშინ, როცა გაზაფხული ახლოვდებოდა. ველარ ვნახე ვერსად, თუმცა ბევრგან ვეძიე.

ვატყობდი, გაზაფხულზე მიზამთრდებოდა. ვატყობდი, გაზაფხულზე მიპირებდა გულში სისხლი გაყინვას. მიკვირდა, ხალხს რა ახალისებდა? ნუთუ ის, რომ ყვავილებმა კვირტები გამოისხეს. ნუთუ ის, რომ მინდვრებზე ბალახი მწვანე სამოსად მოედო არეს.

ხალხში ჩემს გაზაფხულს ვერ ვპოულობდი, ბუნების გაღვიძებას ვერ ვგრძნობდი.

ვერ ვიგრძნობდი მაშ, რა? — ჩემი გაზაფხული არ ჩანდა-მეთქი!

გაზაფხულს მისი თვალების მოგონება თუ წარმომიდგენდა.

ვფიქრობდი მასზე და სხვა საქმისათვის უვარგისი ვიყავი. მეძახდნენ, არ მესმოდა. მეკითხებოდნენ — მუნჯი ვიყავი. ჩემზე შინაურთ დარდიც შეექმნათ — გადაიღალაო. სასაცილოა: რა გადამღლიდა მათი აზრით ვითომ, — სწავლა? მუშაობა? სიმღერა? ცეკვა? — არა!

მაგრამ ისინი მაინც მართალნი იყვნენ. — მე გადავიღალე გაზაფხულზე ფიქრით, მე მას ვეძებდი ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ ვიყავი იმ ადგილას, სადაც მაშინ დავცილდი... მაგრამ ეტყობოდა ის არ დამეძებდა, აღარასოდეს გავხსენებივარ მგონი.

სტუდენტი ვიყავი, სტუდენტი!..

და აი ერთხელ გაზაფხულზე გამიზაფხულდა:

... ქუჩაში მძიმე ნაბიჯით მომავალს წინ სამი გოგონა შემომეფეთა. ერთი მათგანი შუაში ჩადგომოდა ორს და იცინოდა. რომ დავახლოვდით, შემომხედა, შევხედე და...

დავიბენი!

ჩამიარეს.

მოვიხედე უკან. იმანაც მოიხედა. გავიღიმე. იმანაც გაიღიმა. წავედი მისკენ. მან ხელი შეუშვა გოგონებს, ჩემკენ წამოვიდა, ხელი გავუწოდე. გამომიწოდა!

რაღაც ვუთხარი.

რაღაც მითხრა.

მერე ორივეს გაგვეცინა.

— სად იყავი, რომ აღარ ჩანდი? — შევეკითხე და შევხედე თვალებში, რომლის გახსენებისას გაზაფხულის არსებობა მაგონდებოდა.

— შენ თვითონ არ ჩანდი. — თითქოს გაბუტვით შემომესიტყვა. მერე ორივეს კვლავ გაგვეცინა.

— ახლა როგორ, აღარ შევხვდეთ? — ღიმილნარევი საყვედურით ვუთხარი მე, თან მინდოდა გაბედულიც ვყოფილიყავ, — სტუდენტობა...

— რატომაც არაო! — გაბედულადვე მიპასუხა და, თქვენ წარმოიდგინეთ, დროც დავთქვით და ადგილიც. ის თავის ამხანაგებს დაუბრუნდა. მე შორს გავაყოლე თვალი. ბოლოს მაინც ხალხის ნაკადში მიიმალა.

გული უკვე საგულეს მქონდა.

ჩვენ ხომ უნდა შევხვდეთ ერთმანეთს!

ო... რა კარგი გაზაფხული იდგა!

თქვენც ხომ იცით, რა კარგია სტუდენტობა, ახალგაზრდობა.

საამოდ ჰყვაოდნენ ყვავილები, იშლებოდნენ. ფუტკრები ტკბილით თვრებოდნენ და საამო სიმღერით ბრუნდებოდნენ შინ. ვხარობდი, ისინი რომ კმაყოფილნი იყვნენ თავიანთი მასპინძლისა. მიხაროდა, რომ ბალახს ძალა მისცემოდა.

გაზაფხულზე გაზაფხული მიბრუნდებოდა.

დათქმული დრო ჯერ კიდევ არ იყო, დათქმულ ადგილზე კი ვიდექი. ვღელავდი. რა გავაკეთო? ჰო, მართლა, იმ მოხუცს ძალიან უჭირს ქუჩის მეორე მხარეზე გადასვლა. მივეხმარები! — მივეხმარე.

— იცოცხლე, შვილო, ღმერთმა გაგახაროს! — დამლოცა მოხუცმა.

რომ სცოდნოდა იმ მოხუცს, თუ რა მალე ასრულდებოდა მისი ლოცვა, ისიც როგორ გაიხარებდა.

მისი ლოცვა... ერთ საათში ამისრულდა.

ჩემი გულის გაზაფხული მოდიოდა.

მოვიდა კიდეც.

უხმოდ გავწიეთ. მხოლოდ ხანდახან შევხედავდით ერთმანეთს და პატარა ღიმილით თუ ვეტყოდით ერთმანეთს რამეს. სხვა? მეტი რა გითხრათ, სიტყვა ვერ მოგვეძებნა სათქმელი.

ანდა რა საჭირო იყო?

მე ვიცოდი უდიდესი ბედნიერება.

მისი ყველაფერი მჯეროდა. თავს შეურაცხყოფილად ჩავთვლიდი იმით, რომ მასში ერთი წუთით ეჭვი შემეტანა. ანდა, რა მქონდა საეჭვო, ის იქცეოდა ისე, როგორც მოიქცეოდა ყველა ახალგაზრდა... თავდავიწყებით მიყვარდა.

მიყვარდა!

გასაგებია? — მიყვარდა!

კარგია სიყვარულის რწმენა, კარგია სტუდენტობა.

— გაზაფხულის ფასი დიდი ყოფილა, — ვფიქრობდი ჩემთვის, ყოველი გაზაფხული მის თვალებს, მის სიცილს, მის სინარნარეს და მის სურნელებას თუ დაედარა-მეთქი.

ის უკვე აღარ ჰგავდა გაზაფხულს.

გაზაფხული თვით ბაძავდა მას.

მე კი... ჩემზე ბედნიერი არავინ დადიოდა ამ ქვეყანაზე.

მისი სიხარული ჩემი ბედნიერება იყო, ხოლო მისი ოდნავი მოწყენაც — ღვთის რისხვა და თავზე მეხის ტეხვა.

მიყვარდა!

და აი, ერთხელ...

და აი, ერთხელ ის პაემანზე აღარ მოვიდა. როცა ვნახე და ვკითხე: რატომ არ მოხვედი-მეთქი, მიპასუხა... ერთი სიტყვით, რაღაც პასუხი გამცა. დავუჯერე, როგორ არ დავუჯერებდი. ის კი მოწყენით, მოქანცულივით მესაუბრებოდა. ავადაა-მეთქი, და სახლისაკენ წავიყვანე. გაზაფხულია და ამ დროს არ გაცივდეს-მეთქი. უხმოდ დამეთანხმა შინ წასვლაზე. მივიყვანე... გამოკეთება ვუსურვე მალე.

მიყვარდა!

და აი კიდევ:

პაემანზე ის კვლავ არ მოვიდა. დიდხანს ვუცადე, დიდხანს. დაღონებული, ფეხით გავუყევი ქუჩებს. გულში ცეცხლი მეკიდა. ქალვაჟს წამოვეწიე, ქალი მეცნაურა. დავაკვირდი — ის იყო! მტკიცედ ჩაეჭიდა ვაჟის მკლავისათვის ხელი. ავღელდი, ავღელდი, ავღელდი და მერე როგორ?! გული ახლა კი მართლაც აპირებდა საგულედან გადმოვარდნას. მისვლით არ მივსულვარ. დაღონებულმა გავწიე სახლისაკენ.

რად არ მივედი? — იმიტომ რომ...

მიყვარდა!

მიყვარდა-მეთქი! ძალიან მიყვარდა!

როცა შემხვდა, შევეკითხე: სად იყავი-მეთქი, იმ საღამოს? — არსად, შინაო. — გული მომიკვდა — მაშინ ვინ გახლდა ის ვაჟბატონი, ვინ იყო-მეთქი.

რაღაც მომიგო. და თან საყვედურით მომმართა: რას, რას მიკირკიტებ ასეო?

ნეტავ არ გამეგონა ეს სიტყვები. ღმერთო მომკალი!

მაინც მომღიმარი დავცილდი.

დავიბარეთ ერთმანეთი მეორე დღისთვის.

და ერთი საათით ადრე შეპირებულ ადგილსა ვტკეპნი.

საათის ისრები გადასცდა დათქმულ დროს. გული გაიბზარა. მივხვდი რომ აღარ გამთელდებოდა. აღარ დამიცდია. წამოველ შინ.

სიკვდილი არ მეზარებოდა.

გაზაფხულის უკანასკნელი თვე ილეოდა. მისი, ყველაზე ლამაზი და მომხიბვლელი. მაისი, ბედნიერების თვე.

ქვეყანა ვიწრო მეგონა. სად წავსულიყავ. ერთხელ კარზეც დავუკაკუნე. მეზობელმა გამომხედა და მითხრა: აგარაკზე წავიდნენო, მისამართი კი არ ვიციო.

„ადრე წასულან“, — ეს კი გავიფიქრე.

სად იქნებიან, სად ვეძებო, რად არ მაცნობა თუ მიდიოდა? წერილს რატომ არ იწერება? ნუთუ მართლა დავცილდით — ო, რა ცუდია ასეთი ფიქრი.

დავეხეტებოდი.

მეგონა ყველა მე დამცინოდა.

მაგრამ რატომ?

გაზაფხულო ნეტავი, სად ხარ? ზაფხულის პაპანაქებაა, გული მეხუთება. ზაფხულიც არ უნდა იყოს ცუდი. ყველა ხალისობს.

მაგრამ მე რა მომდის?

ჰო, მართლა...

მე ხომ გაზაფხული მიყვარს, ახლა გაზაფხულია.

მაგრამ სად არის გაზაფხული?

სად?!

სააგარაკო სეზონი მიიწურა.

ველი, რომ მალე ვნახავ.

და კვლავ ქუჩაში დავხეტიალობ.

და აი ერთხელ...

და აი ერთხელ შევხვდი მას. სიხარულით გავიქეცი მისკენ. მეგონა ისიც გამოიქცეოდა. მაგრამ არა, მან ხელი არ შეუშვა გვერდით მომავალს. მაინც მივვარდი. და ის იყო უნდა მივსალმებოდი რომ...

მან მითხრა...

— აი...

სწორედ ასე. არც მეტი, არც ნაკლები:

— აი, იცნობდე, ჩემი ქმარი!

სწორედ ასე. არც მეტი, არც ნაკლები:

მე გამეღიმა, მგონი, მივულოცე კიდეც.

და გამოვტრიალდი.

* * *

... მე მისი თვალები გაზაფხულს მაგონებდა,

და მართლაც გაზაფხული იყო.

— რატომ?

— ხომ გიპასუხე!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაია აგრბას საუფლოში

მდინარე შავწყალა სათავეს დიდი მთის ძირას იღებს. ეს ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია აფხაზეთში. აქ გახლავთ მეკალმახეობის მეურნეობა, რომლის საგუბრებს ოთხ ჰექტარზე მეტი ფართობი უკავია. მეურნეობის კოლექტივის მთავარი საზრუნავი კალმახისა და სხვა ჯიშის თევზების მოშენება-გამრავლებაა. როგორც ყველა კეთილშობილურ საქმეს, მასაც მრავალი ენთუზიასტი ჰყავს. ერთ-ერთი მათგანია მაია აგრბა, პირველი აფხაზი იქთიოლოგი ქალი.

შუადღე იყო, როცა მაიას საუფლოში მოვხვდით. მზერას გვტაცებდა ერთმანეთის მიყოლებით ჩამწკრივებული საგუბრები, მთის ანკარა წყლებში ხალებიანი კალმახებისა და ორაგულების ქარავნები, ყოველი საგუბრის თავთან წყლის ბროლივით მსხვრევადი ჩქერალები, რომლებსაც თითო ადლიანი და უფრო დიდი კალმახები რიგრიგობით ეთამაშებოდნენ. საგუბრების გაყოლებით და მათ შორის დატოვებულ მიწის ზოლებში კვიპაროსები ჩამწკრივებულიყვნენ. კვიპაროსებს მხარს უმშვენებდნენ მტირალა ტირიფები, გაზონებში კი სურნელოვანი, ნაირფერი ყვავილები იწონებდნენ თავს...

ორი თეთრხალათიანი ქალი თევზებს აპურებდნენ. ისინი საგუბრების ნაპირებს მიჰყვებოდნენ და წითელ მარცვლებს ბლუჯა-ბლუჯა ყრიდნენ წყალში. მაშინ ერთხელ კიდევ ვნახე, თუ რა სწრაფი რეაქციის უნარი ჰქონიათ თევზებს. საქონლის ღვიძლისაგან დამზადებულ მარცვლებს წყალში მოხვედრისთანავე ასობით, ათასობით თევზი წვრილი, ციცქნა კბილებით იჭერდა.

— მაია აგრბას ნახვა სად შეიძლება? — ვკითხე საქმით გართულ ქალებს.

— ჩვენი მაია ახლა საკვების შესამზადებელ საამქროში ან სანაშენე ლიფსიტების შესამოწმებელ ლაბორატორიაში იქნება, — მითხრა ერთ-ერთმა მათგანმა. მეც იქით გავემართე და ლაბორატორიის ზღურბლზე გადავაბიჯე. თეთრხალათიანი მაია სამფეხა სკამზე იჯდა, კალმახის ლიფსიტებს წყლიანი ვედროდან პატარა ბადიათი ფრთხილად იყვანდა და სასწორზე მოთავსებულ წყლიან ჭურჭელში უშვებდა ასაწონად. შედეგით კმაყოფილმა სიხარულით გაგვიზიარა: ჩემი პატარა „აღსაზრდელები" კარგად მატულობენ, სწრაფად იზრდებიან, თანაც ჯანმრთელები არიანო.

მაიასთან ახალგაზრდები იყვნენ. ეტყობოდა, მუშაობასთან ერთად, ისინი გამოცდილი იქთიოლოგისაგან ბეჯითად სწავლობდნენ თევზის მოშენების საიდუმლოებას, მისდამი სათუთ დამოკიდებულებას.

მოზარდი თევზების წონაში მატების შემოწმებას რომ მორჩა, მაიამ ახალგაზრდებს რჩევა-დარიგება მისცა, კალმახების რომელი პარტია რომელ საგუბარში გაეშვათ, თვითონ კი ფურცლოვანი ლითონისაგან შეკრული დიდი ჩანების შემკეთებლებთან მივიდა.

სულ მალე ლიფსიტების ახალ პარტიას გამოვიყვანთ და კამკამა წყლით სავსე ჩანები მზად უნდა იყოსო.

ათობით ასეთ ჩანში ხუთ-ხუთი ათასზე მეტი პატარა ქარავნები დასრიალებენ, სულმეურნეობის საგუბრებში კი ორ მილიონზე მეტი დიდი და პატარა კალმახი, ორაგული და სხვა ჯიშის თევზი ბინადრობს. ეს მაია აგრბას და მისი კოლექტივის შრომის შედეგია.

მაგრამ მარტო ნაყოფიერი შრომა, ძვირფასი ჯიშის თევზის მომრავლებისათვის ზრუნვა არ იკმარებდა, რომ არ ყოფილიყო ძიება, მეცნიერული კვლევა.

ცნობილია, რომ შავი ზღვის ორაგული ძალიან მგრძნობიარეა. მასზე ცუდად, ზოგჯერ კი დამღუპველად მოქმედებს წყალში ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობა. ეს კი არც ისე იშვიათია როგორც შავი ზღვის ნაპირების სუბტროპიკულ ზონაში, ისე მის წყლებში. ამიტომ ხელი ეშლება ორაგულის გამრავლებას. ამას დაემატა სხვა ფაქტორებიც და თევზის ძვირფას ჯიშს— ორაგულს გადაშენების საფრთხე დაემუქრა. ამან ახალი ამოცანების წინაშე დააყენა შავწყალას მეკალმახეობის მეურნეობის კოლექტივი. იმ ხანებში ამერიკის შეერთებული შტატების ორეგონისა და აიდაჰოს წყლებიდან იქაური ჯიშის ეგრეთწოდებული „ფოლადისთავიანი" ორაგულის რამდენიმე წყვილი ჩამოიყვანეს. მათი პირდაპირ საგუბრებში გაშვებით არაფერი გამოვიდოდა. საჭირო იყო ახალჩამოყვანილი ორაგულების შავი ზღვის ორაგულებთან შეჯვარება.

მაია აგრბამ ხელი მოჰკიდა ამ მეტად სათუთ საქმეს. იმ დღეებში იგი სპეციალურ აუზს, ლაბორატორიას არ მოშორებია. ფაქიზად ატარებდა ცდებს. ჰიბრიდის მიღების დროც დადგა. შედეგი სასურველი გამოდგა. შორეული წყლებიდან ჩამოყვანილი და შავი ზღვის ორაგულების შეჯვარებამ მოგვცა ახალი ჯიშის თევზის პირველი თაობა, რომელიც შავი ზღვის აუზში უხვად გამრავლების იმედს აძლევდა ძიებით გატაცებულ იქთიოლოგს. ასეც მოხდა. ახალი ჯიშის ორაგულმა შესანიშნავად იმრავლა მდინარე შავწყალასა და შავი ზღვის მთელ აუზში. ახლა მას ყოველწლიურად დიდი რაოდენობით იჭერენ თევზმრეწვის საწარმოები, მეთევზეები.

აი, რა შეუძლია საქმით გატაცებას, მოვალეობისადმი პასუხისმგებლობას!

ყველაფერი კი მაშინ დაიწყო, როცა მაია აგრბამ, გუდაუთელმა ქალიშვილმა, საშუალო სკოლა წარჩინებით დაამთავრა და უმაღლესი განათლების მისაღებად მოსკოვს მიაშურა. მართალია, მას პირველად მეტალურგია, განსაკუთრებით კი ფოლადის წარმოების საიდუმლოება იტაცებდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ მიზანი შეიცვალა, ქალიშვილმა გაითვალისწინა თევზის მოშენება-გამრავლების პერსპექტივა აფხაზეთის წყლების აუზში და მოსკოვის იქთიოლოგიის ინსტიტუტში მოეწყო. ბეჯითად ისწავლა, წითელი დიპლომით ხელდამშვენებული დაუბრუნდა მშობელ მხარეს. იმ დღიდან გუდაუთის რაიონის შავწყალას მეკალმახეობის მეურნეობაში მუშაობს, ჩვენი მდინარეებისა და ზღვის მშვენების — კალმახის, ორაგულის და თევზის სხვა ჯიშების მოშენება-გამრავლებისათვის ილვწის.

ათობით საგუბარსა და ლითონის დიდ ჩანებში ასიათასობით, მილიონობით დიდი და პატარა თევზის ქარავნები დაცურავენ. იქვე, სულ ახლოს ლაღად მიედინება კამკამა მდინარე შავწყალა. მეურნეობის საგუბრებიდან მის სათავემდე ასიოდე ნაბიჯი თუ იქნება. აქ თვალწარმტაცი სანახაობა იშლება. ცაში ზვიადად აღმართულ მთის კლდოვან ძირში ერთბაშად ამომქუხარებს მდინარე, რომელიც ჯერ ლოდებზე ბროლივით იმსხვრევა, მერე ქაფისაგან იწმინდება, წყნარდება და ათიოდე კილომეტრის შემდეგ შავ ზღვას ერთვის.

აკი აქვთ საერთო ამ კამკამა მდინარესა და მის ბობოქარ სათავესთან გაშენებული მეკალმახეობის მეურნეობის მთავარ სპეციალისტს, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს მაია აგრბას. ისიც თავის საქმეში მდინარესავით ბობოქარი და დაუდეგარია.

იმ დღეს სამუშაო საათები რომ დამთავრ-

და, მეურნეობის კომუნისტებმა და უპარტიო აქტივისტებმა ერთად მოიყარეს თავი. მაია აგრბა მეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანია და პარტიულ-სამეურნეო აქტივის წინაშე ბუნებრივი სტიქიისაგან, წყალდიდობისაგან მეურნეობის საგუბრების, მთელი ტერიტორიის საიმედოდ დაცვის საკითხი დააყენა. ამის საჭიროება კი არის. ერთხელ კოკისპირული წვიმების შედეგად ადიდებულმა შავწყალამ და მთის ჯალთებიდან მოვარდნილმა ნიაღვრებმა ზიანი მიაყენა მეურნეობას, ზოგიერთი საგუბრიდან ასიათასობით სათუთად ნაზარდი და ნალოლიავები ლიფსიტა გაიტაცა მღვრიე წყალმა.

— შეიძლება კი ამის თავიდან აცილება?— იკითხა კომუნისტების წინამძღოლმა და თვითონვე გასცა პასუხი, — დიახ, შეიძლება, თუ უფრო მაღალ და მტკიცე ჯებირებს შემოვავლებთ მეურნეობის ტერიტორიას მთის მხრიდან.

ეს აზრი ყველას მოეწონა. ერთსულოვნად გადაწყვიტეს მისი სისრულეში მოყვანა.

კრება რომ დამთავრდა, უკვე საღამო იყო. ვიფიქრე, მაია ალბათ შინისკენ გასწევს-მეთქი. გუმანი არ გამიმართლდა. მთელი დღის ნაჯაფარი საგუბრებს ჩაუყვა, გულდასმით ამოწმებდა წყლის მიმღებ-გამშვებ მოწყობილობების გამართულობას, სადმე თევზი გასვლას რომ შეძლებს, ისეთი ადგილები ხომ არ არის უნებურად დარჩენილიო.

უცბად ერთ-ერთ საგუბარში ადლიანმა კალმახმა ისარივით გაჭრა წყლის ზედაპირი და ნაპირზე მოადინა ზღართანი, ცემენტის ხსნარით მოპირკეთებულზე დაეცა, საცოდავად ასხმარტალდა, მერე ცოტა ხნით გაირინდა. მაია მისაშველებლად გაიქცა, მაგრამ ამასობაში კალმახმა, ალბათ როგორც კი გაუქარვდა დაცემისაგან მიყენებული რეტი, ერთი მაგრად გაბერა ლაყუჩები, აამოძრავა ფარფლები, კუდი მაგრად დაჰკრა ბეტონს, ჰაერში სპირალურად აიჭრა და კვლავ ისარივით ჩაეშვა წყალში. მის ზედაპირზე ნარნარა რგოლებმა იწყეს რიალი.

— ხომ ნახეთ, — ღიმილით მითხრა მაიამ, თევზს უწყლოდ არ შეუძლია სიცოცხლე. ასე დაუდგენია ბუნებას. ეს უბრალო ჭეშმარიტებაა და იმიტომ გეუბნებით, რომ აზრს გიზიარებთ. ადამიანებსაც უშრომლად არ უნდა შეეძლოთ არსებობა, სიცოცხლე. თქვენ ხომ ბევრი შეკითხვა მომეცით, ახლა მე მინდა შეგეკითხოთ: ჩვენში ყველას, საზოგადოების თითოეულ წევრს აქვს გადაქცეული შრომა სასიცოცხლო მოთხოვნილებად?

— არა! ამ მხრივაც ბევრი გვაქვს საფიქრალი და საზრუნავი.

...ამ ფიქრით დავტოვე მაია აგრბას საუფლო, დავტოვე არა მარტო მისი საქმით, ძიებით და გატაცებით, არამედ მისი საზრიანი მსჯელობითაც მოხიბლულმა.

შალვა გულუა

ელენე დიდიმამიშვილი

## რუსთაველის პროსპექტით

(შემოდგომის სურათი)

ილევა ნოემბრის დღე,
თუმც ხალხის მიმოდის ზღვა..
ქარი შლის ზურმუხტის ფერს
და მოაქვს მიმწუხრი სხვა...
მზე ისე დაღლილი დგას, —
საცაა მილულავს თვალს.
ოპერის თეატრის წინ
ქარი თეთრ ყვავილებს ჰყრის..
...დრო ჰკარგავს გადამქრალ ფიქრს..
(მას ამ გზით უყვარდა სვლა)...
ლაჟვარდი ალარსად კრთის...
გადაჰყვა ქარს ..
როგორ გაიცრიცა ცა...
ჭადრიდან ფოთლები თოვს..
მე ისევ ვაგრძელებ გზას...
... და უცხო გოგონა
ავტოგრაფს მთხოვს...

## ერთ კეთილ სიტყვას

რა შეუძლია ერთ კეთილ სიტყვას,
ერთ კეთილ საქმეს, —
შორეულ ორწოხს შორდება რისხვა,
და თვით ღრუბელიც სინათლეს აკმევს...
ის მიმქრალ გზებზე ანთებს ჩირაღდნებს,
ის მოღლილ სულში ილვიძებს ღიმით...
იმედი სუნთქვის, ცამდე ივარდებს,
დგება მარადი სიმშვიდე დილის...
რა შეუძლია შენს კეთილ სიტყვას,
შენს კეთილ სათქმელს,
შენს წრფელ ბუნებას...
რა შეუძლია ერთ კეთილ საქმეს, —
მთელი სიცოცხლის შემობრუნება!..



## მელაპარაკე ოღონდ

 რ. გ—ს

შენი მაღლობი რა რიგ
ახლოა უქრობ მზესთან.
არ იბინდება წამით,
ბრწყინავს ღამეც და დღეცა...
შენი მაღალი განსჯა,
ჭკვიანი მზერა შენი —
რასაც სიკეთით ხარჯავ,
რაც მარადისად გშვენის..
რაღაც იდუმალ ღიმით,
რაღაც იდუმალ ხელით,
შენ წარმიშალე ჩრდილი —
იმ შორეული ფერის...
მე გისმენ, ისე, როგორც
ცრემლით მოღლილი ბავშვი,
მელაპარაკე ოღონდ,
რომ სიმართლისთვის დავშვრი...
რომ დიდი გზნებით სავსე
მქონდა პატარა გული...
რომ ჩემს ლორღიან გზაზე
არ შერეოდა რული...
მელაპარაკე ისევ...
მე განაბული გისმენ.

## შენს გზაზე..,

გრძელი სიზმარი იყო ოცნების,
ლაღიც, თამამიც, და... უნდობელიც...
ის იყო სავსე მძიმე ცოდვებით,
და მაინც შენგან დაუგმობელი...
სხივი თუ ჩრდილი, შმაგი თუ მშვიდი,
მოკვდავი, ან თუ მარად უჭკნობი,
ეს სულ ერთია, ვინ იყო იგი,
თანაგრძნობი თუ, თანაუგრძნობი —
ცრემლი ხომ უნდა გაგეღო მუდამ,
ხან ცრუ იმედით, და ხან უილბლოდ...
გული მშფოთვარე ხომ მაინც უნდა
დახარჯულიყო...
...და გზა მთრთოლვარე სხივით დაწნული
განვლე... ესწრაფვი მდუმარ შემოდგებს...
შენს ფაქიზ სუნთქვას დიდი ზაფხული
უნდა შვენოდეს...
...დროთა ბრუნვაში ჰქრიან დღეები...
ათასნაირი სამოხეებით... ათასნაირი
სიძნელეებით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელს, ხელოვნების მუშაკთა სახლში მოეწყო თვითნასწავლი მხატვრის — ექიმ ნინო ირემაძე-ჩაჩავას ნამუშევართა მესამე პერსონალური გამოფენა.



სვანეთის მთები

# ნინო ჩაჩავა

მნახველს მოსწონს მხატვარ ნინო ჩაჩავას ნამუშევართა ექსპოზიცია. ნატიფი, თავისთავადი, ინდივიდუალური, მისეული ხელწერა...

კაშკაშა, სამხრეთულ ფერთა გამაში, ბუნების ღრმა ცოდნით გადაწყვეტილი ფერწერული ნამუშევრები — „ციხისჯვარი“, „ბარისახო“, „კოსმოსი“, „სვანეთის მთები“, „გაზაფხული“, „ცისფერი ტბა“, „მთიულეთი“ ფაქიზი ხელით არის შექმნილი.

მხატვარი ქალი პეიზაჟებში ისწრაფვის გადმოგვცეს ბუნების მშვენიერება, გვიჩვენოს ყოველდღიური ყოფის სილამაზე, იგი ასე ოსტატურად ასახავს საქართველოს ულამაზეს მთებსა და მზით გაშუქებულ მის მდელოებს, ხვავისა და ბარაქის მომცემ ველ-მინდვრებს, რომლებშიც კარგად არის მიგნებული საქართველოს მთიანი პანორამების უჩვეულო დეკორატიულობა და მონახაზის საოცარი სილამაზე, მთების მიჯრილი წყობა, მიხვეულ-მოხვეული გზები მიგვანიშნებს მხატვრის გემოვნებას, მიგნებებს...

ნინო ჩაჩავას შემოქმედებითი თემა მკაფიოდ ჩამოყალიბებულია. მას იზიდავს ჩვენი სამშობლოს ამწვანებული ქედები, დათოვლილი მთები, მთის აქაფებული მდინარეები, დაკლაკნილი გზები...

მხატვრის თითოეულ პეიზაჟში ახლებურად გაცოცხლებული, ინდივიდუალური ხედვით განზოგადებული განწყობილება ჩაქსოვილი.

ნანული ბუკია

მთიულეთი



ეროვნული ბიბლიოთეკა



ციხისჯვარი

გაზაფხული



## მარიკა ბარათაშვილი

### დედას

რაც გაგიტოლდი, უკვე აღარ
მეუცხოვება
შენი დარდები (არც გვჭირდება
უკვე მსტოვარი)...
მოგვცა როლები რეჟისორმა —
თავად ცხოვრებამ,
მსგავსი რეპლიკით, მიზანსცენით
და სათხოვარით.
დედას რა უნდა? ო, მცირედი,
ძალზე მცირედი —
ორი სტრიქონი (მეტს, დედები
არც კი ნატრობენ).
ეს რომ იცოდნენ... არ იციან,
არა, შვილებმა,
რარიგ ძნელია, როცა დარდი
დაგიმარტოვებს.
მიმწუხრზე მარტო რომ შემორჩი
შენი ტკივილით,
ამ საწუხარით, გოლგოთაზე
ბევრჯერ ავედი...
ვერ ჩამოგართვი მცირე ბოხჩაც
იმ სიმძიმილის...
და ახლა დამაქვს სინანული
ნაგვიანევი..

### ტერეშკოვა

რაც კი ყრმობაში ჩვენთვის
ზღაპრად უთქვამს ბებიას,
ჩვენ ყოველივე სინამდვილედ
გვიწამებია.
ჰოდა, გოგონებს გვქონდა ჩვენი
ანგარიშები,
მეტად გვჩაგრავდნენ, უფროსობდნენ
ჩვენზე ბიჭები.
და გვწამდა: თუ გვსურს, გოგოები
ვიქცეთ ბიჭებად,
ცისარტყელაზე უნდა შევძლოთ
გადაბიჯება.
ხანდახან ისე ახლოს იყო
ოცნება ჩვენი —
იდრიკებოდა ცისარტყელა
ნატვრის წინაშე...
მაგრამ ეს იყო წუთიერი
მხოლოდ მირაჟი...
ცისარტყელასთან ასაფრენად
სად იყო ფრთები!
მხოლოდ მან შესძლო აასრულა
რასაც ვნატრობდით...
რის ცისარტყელა! — იმ გმირობას
რა ედარება!
რაც კი ოდესმე ვიოცნებეთ
ქვეყნად ქალებმა,
მან ერთმა შესძლო და დაიპყრო
თავად მნათობიც.

ს. ნავარძეთი.
აგვისტო 1978 წ.



# თაობათა აღმზრდელი

— „ხმა, ბატონებო, ხმა და მერე როგორი ხმა! ლამაზი, ახალგაზრდული, თანაბრად ბგერადი, იგი მიგაქანებთ ბრწყინვალე ტალღებზე და თქვენ სული გეგუბებათ აღფრთოვანებისაგან. თბილისს უყვარს თავისი სცენისათვის აღზრდილები. თბილისის მაყურებელს რომ თავი მოუყარო, ამისათვის უნდა გქონდეს ტალანტი!..“

ასეთ აღფრთოვანებულ სტრიქონებს უძღვნიდა რუსული გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ 1902 წელს ოლღა ალექსანდრეს ასულ ბახუტაშვილ-შულგინას, სადებიუტო სპექტაკლის შემდეგ, რომელიც გაიმართა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახაზინო თეატრში. ახალგაზრდა მომღერალმა ქალმა ამ დღეს დიდად ისახელა თავი ჩაიკოვსკის ოპერა „პიკის ქალში“ ლიზას ურთულეს პარტიაში.

ჯერ კიდევ მოწაფეობისას, ე. რიადნოვის ვოკალურ სტუდიაში, ოლღა ალექსანდრეს ასული ბახუტაშვილი-შულგინა თავისი იშვიათი, გულში ჩამწვდომი ხმის სილამაზით და სცენური გრაციულობით ხიბლავდა მსმენელს.

საოპერო სცენაზე ახალი მომღერლის გამოჩენა და ისიც ქართველი ქალისა, იმ დროს დიდსა და მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა. სწორედ ეს მოვლენა მხედველობიდან არ გამორჩენია დიდ თეატრალსა და ნაცად ანტრეპრენიორს ალექსი აკაკის ძე წერეთელს (დიდი აკაკი წერეთლის ვაჟიშვილი). იგი დაინტერესდა ახალგაზრდა მომღერალი ქალის ვოკალური და სცენური საუცხოო მონაცემებით და საგასტროლოდ მიიწვია თეატრალურ „მექაში“, — მოსკოვში. ოლღა დიდი წარმატებით გამოდის საზაფხულო თეატრ „აკვარიუმში“, სადაც ასრულებს ახალგაზრდა მომღერლისათვის მეტად პასუხსაგებ პარტიებს: ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინსა“ და „პიკის ქალში“, მეიერბერის „ჰუგენოტებსა“ და ვერდის „აიდაში“.

პირველი ქართველი ვოკალისტი ქალის გასტროლები მოსკოვში სანაქებოც იყო და სადიდებელიც. მისმა ნატიფმა არტისტულობამ, ხმამ და როლების ღრმა ინტერპრეტაციამ მოსკოვის საზოგადოებრიობის ყურადღება მიიქცია. მან მთელი სისავსით გამოაჩინა დრამატული პათოსი და მრავალფეროვანი მსახიობის ბუნება. ო. ბახუტაშვილი-შულგინას გასტროლები მოსკოვში დიდი წარმატებით დამთავრდა. ეს იყო ოპერის პირველი მომღერალი ქართველი ქალი, რომელმაც მეფის რუსეთში ბრწყინვალედ დაიცვა თავისი ქვეყნის, თავისი ერის ღირსება, აქ გამოამჟღავნა თავისთავადი ნიჭი და უზადო ტალანტი. ამ გასტროლებს ახალგაზრდა მომღერლისათვის თავბრუ არ დაუსხამს. იგი უმაღლესი მუსიკალური ცოდნის მისაღებად ჯერ პეტერბურგში, შემდეგ პარიზსა და მილანში მიემგზავრება პროფესიული ოსტატობის უფლებასა და ვოკალური და სცენური სახეების დახვეწისა და სრულყოფისათვის. ევროპულ მუსიკალურ კულტურას ნაზიარებს, სიმღერის ტექნიკით და ცოდნით აღჭურვილს, საიმპერატორო მოსკოვის აკადემიური დიდი თეატრი, სადებიუტოდ იწვევს პ. ჩაიკოვსკის ოპერაში — „პიკის ქალი“ (ლიზას პარტია). დებიუტის წარმატების შემდეგ, თეატრის დირექცია მასთან სამი წლით დებს ხელშეკრულებას, მაგრამ დიდ თეატრში შექმნილი უსულგულობა, ერთფეროვნება მომღერალ ქალს ვოკალური ხელოვნების მაღალი მწვერვალებისაკენ სრბოლის ოცნებას უკვეცავს და ზღუდავს. იგი იძულებულია სამუშაოდ გადავიდეს კიევის საოპერო თეატრში, სადაც უფრო ნათელი შემოქმედებითი პერსპექტივა ესახებოდა.

სწორედ კიევისა და შემდეგ ოდესის პერიოდია ყველაზე ნაყოფიერი მის ბრწყინვალე შემოქმედებაში. აქ მომღერალმა მთელი გალერეა შექმნა იმ გმირ ქალთა სახეებისა, რომლებმაც საქვეყნოდ მოუხვეჭეს სახელი, როგორც რუსული საოპერო სცენის შესანიშნავ მომღერალს. აქედან მიდიოდა გასტროლებზე ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში და მშობლიურ თბილისში, რომელიც ტრიუმფით იღებს თავის სახელმოხვეჭილ პირმშოს. ამის შესახებ გაზეთი „კავკაზი“ წერდა:

„ოპერის დასში არის ისეთი დიდი ძალა, როგორიც ქ-ნი შულგინაა, მისი სასიამოვნო, ყველა რეგისტრში წკრიალა, თანაბარი ხმა ამ საღამოს უბადლოდ ჟღერდა. მსახიობი იშვიათი გამომეტყველებით მღეროდა. ბავშვთან განშორების სცენაში, მან საზოგადოებას განაცდევინა ბედკრული ბატერფლაის მძიმე დრამა. მასთან ერთად განიცდის და ტირის დამსწრე მაყურებელიც. ეს კი უმაღლესი ჯილდოა მსახიობისათვის“ ო. ა. ბახუტაშვილ-შულგინას საშემსრულებლო ღირსება იყო — ხმის დაუძაბავი, მსუბუქი, ლამაზი სიმღერა, დიდი გულწრფელობა და გულითადობა.

1917 წელს, ო. ბახუტაშვილი-შულგინა სამუდამოდ ბრუნდება სამშობლოში, აქ ეწევა ხანგრძლივ და დიდად ნაყოფიერ შემოქმედებითს მოღვაწეობას. მის ნიჭს მიეცა გზა ფართო და წინ გადაეშალა შემოქმედების უდიდესი პერსპექტივა. თბილისში ჩამოსვლისთანავე ქართულ კლუბში, დ. არაყიშვილის შემოქმედებით კონცერტზე, შულგინა პირველად წარდგა მსმენელის წინაშე და ისიც ქართული რეპერტუარით; ამ საღამომ ო. შულგინას თბილისელი მაყურებლის აღიარება და უზომო სიყვარული მოუპოვა, ხოლო კომპოზიტორ დ. არაყიშვილს ათქმევინა: „მე მის ხმას შევურჩიე ჩემი ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე“ თამარ მეფის ურთულესი კავატინა, რომელიც საუცხოოდ აჟღერდა; რაც მთავარია, მის სიმღერაში ისმოდა ქართული ინტონაციები, სწორი მახვილები, რამაც გაკვირვებასთან ერთად დიდი აღტაცება გამოიწვია მაყურებელში“.

იმდროინდელ ულიმღამო საოპერო თეატრალურ ცხოვრებაში სულ სხვა მეტეორის გამოჩენას ჰგავდა ო. ბახუტაშვილ-შულგინას გამოსვლები, მისი მრავალფეროვანი და საინტერესო რეპერტუარი. მისი სპექტაკლები დიდი ზარ-ზეიმით მთავრდებოდა. მაღალ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

კვალიფიციურ სიმღერასთან ერთად ბუნებით მომადლებულ მის მახვილ თვალსა და ყურს პედაგოგიური ალღოიანობაც არ აკლდა. ამიტომ მას ფილარმონიის მუსიკალურ სასწავლებელში იწვევენ ვოკალის პედაგოგად, სადაც დიდი სიყვარულითა და გატაცებით მუშაობდა ახალგაზრდებთან. აქედან იწყება მისი პირველი პედაგოგიური ნაბიჯები.

რუსულ და ევროპულ მუსიკალურ კულტურაზე აღზრდილ ოლღა ალექსანდრეს ასულის შრომისმოყვარეობა, ღრმა და მრავალმხრივი განათლება, მაღალი კულტურა და ენთუზიაზმი მხარს უბამდა ქართული კულტურის მესვეურებს, იგი ენერგიულად ჩაება ახალ შემოქმედებით საქმიანობაში და ერთი აქტიური მონაწილე გახდა მშობლიური მუსიკალური კულტურის განვითარებისა.

1919 წლის 5 და 21 თებერვალი მარად სახსოვარი თარიღებია ქართული საოპერო ხელოვნების წარმოჩენისა: მშობლიურ ჰანგებს მონატრებულმა ქართველმა ხალხმა ზედიზედ მოისმინა ორი ბრწყინვალე ოპერა: დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ და ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“. ორივე ოპერა დადგა დიდად ნიჭიერმა რეჟისორმა ალექსანდრე წუწუნავამ. ოპერას „თქმულება შოთა რუსთაველზე“ დიდი წარმატება ხვდა წილად, ხოლო გულჩინას პირველი შემსრულებელი ო. შულგინა აღიარებულ იქნა ერთერთ საუკეთესო ინტერპრეტატორად. მან მსმენელთა ჭეშმარიტი სიყვარულიც მოიმკო.

ხალხის აღტაცების ხმები ჯერ კიდევ არ ჩამცხრალიყო, რომ ორი კვირის შემდეგ, 21 თებერვალს, ოპერა „აბესალომ და ეთერის“ წარმოდგენა ნამდვილ სახალხო ზეიმად გაიქცა. ეს მონუმენტური ნაწარმოები თავისი ფორმით გრანდიოზული სანახაობა იყო. მაყურებელი მოიხიბლა მისი უბრალოებით, ხალხურობითა და სილამაზით.

პირველი ეთერის — ო. ბახუტაშვილ-შულგინას გამოჩენას ტაშის გრიალი მოჰყვა, ხოლო მის მიერ ბრწყინვალედ შესრულებულ არიას „დედინაცვალი“ დაუსრულებელი ოვაციები შეაგება მსმენელმა. ეთერის პარტიის მისეული მანერა თაობებს გადმოეცა, როგორც ესტაფეტა. ხმის სინარნარე, თავისუფალი მოძრაობა, ფილირება, ქართული ხალხური მოთქმის ნიუანსები — აი, რით ამდიდრებდა ბახუტაშვილი-შულგინა ეთერის სახეს და რაც ტრადიციულად დარჩათ ეთერის როლის შემდგომ შემსრულებლებს.

ო. ბახუტაშვილ-შულგინამ, მარტო 1919 წლის სეზონში „აბესალომ და ეთერი“ ზედიზედ ოცდახუთჯერ იმღერა და იმღერა ერთიმეორეზე უკეთესად, შეუდარებლად, ისე, რომ ავტორმა, კომპოზიტორმა ზ. ფალიაშვილმა მიამიტად, მაგრამ გულწრფელად განაცხადა: „რა მეშველებოდა, რომ არ გამოჩენილიყო ჩვენი საამაყო ო. შულგინა, ვინ გამიცოცხლებდა ასე კარგად, ასე სრულყოფილად ჩემს ობოლ ეთერს?!“

ო. ბახუტაშვილმა-შულგინამ, როგორც დიდი დიაპაზონის მომღერალმა, მრავალფეროვანმა, საინტერესო საზოგადო მოღვაწემ სამუდამოდ და ღირსეულად განიმტკიცა პირველი ქართველი მომღერალი ქალის და პირველი ქართველი ვოკალის პედაგოგი ქალის სახელი.

„რა ამაყი ვიყავი მაშინ, როცა პირველ ქართულ ოპერებთან ერთად მეც დავიბადე, როგორც ქართველი მომღერალი... ძლივს დავუბრუნდი მშობლიურ კერას... სიკვდილამდე მისი ერთგული დავრჩები“, — ხშირად გვეტყოდა ხოლმე თავის სტუდენტებს ოლღა ალექსანდრეს ასული.

იგი თავისი სიტყვის ერთგული დარჩა. ოთხმოცდასამ წელს გადაცილებულსაც მხნეობა არ აკლდა. კვლავ ახალგაზრდული შემართებით ზრუნავდა და ზრდიდა მომავალ საოპერო კადრებს: 1923 წლიდან იგი იყო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი და ვოკალური ფაკულტეტის უცვლელი დეკანი.

ო. ბახუტაშვილმა-შულგინამ თავის კლასში აღზარდა და სამშობლოს მისცა ოთხმოცზე მეტი გამოჩენილი საოპერო მომღერალი და ვოკალის პედაგოგი, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო და დამსახურებული არტისტები, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწენი, პროფესორები, დოცენტები.

ო. ბახუტაშვილ-შულგინას, ერთ-ერთ პირველს ეკუთვნის ეროვნული ვოკალური სკოლის საკითხის დაყენება და მისი პედაგოგიკის მეცნიერული მეთოდური აზრის ჩამოყალიბება ჩვენს რესპუბლიკაში. მან მომავალ თაობათა აღსაზრდელად კონსერვატორიას სახელმძღვანელოდ დაუტოვა სამეცნიერო ნაშრომები ვოკალური ხელოვნების მეთოდიკის საკითხებზე და ქართულ თემაზე დამუშავებული სავარჯიშოები და ვოკალიზები.

იგი იყო ერთადერთი ქალი ვოკალისტი, რომელიც სისტემატურად ეწეოდა მეთოდიკურ საკონსულტაციო მუშაობას სამუსიკო სასწავლებლებში, საოპერო და დრამატულ სტუდიებში, სადაც სავალდებულო სიმღერასთან ერთად ხმის დაყენებაზეც მუშაობდა დრამის მსახიობებთან.

მანვე პირველმა დააყენა საკითხი „ბავშვთა ხმის დაცვის“ შესახებ და გახდა ნიჭიერ ბავშვთა მუსიკალური ათწლედის დაარსების ინიციატორი, სადაც აღიზარდნენ ჩვენი ქვეყნის სასახელო კადრები — მომღერლები, მუსიკოსები.

დიდი პატრიოტის, ენთუზიასტის, შესანიშნავი მოქალაქის, თაობათა აღმზრდელის, მომღერალი ქალის სახელის სადიდებლად, მისი დაბადების მეასე წლისთავისათვის ესეც კმარა, რომ მისი ღვაწლი და სახელი უმშვენიერეს ფურცლად ჩაიწეროს ქართული ვოკალური კულტურის დანერგვისა და განვითარების ისტორიაში.

**მიხეილ ყვარელაშვილი,**
რესპუბლიკის სახალხო არტისტი.

# მშობლიური ბილიკებით

...მზე კარგა დიდზე იყო ამოსული, ბექობიდან რომ დავეშვი და ახლო მეგობრისაკენ გავეშურე. იგი შინ დამიხვდა. დავთქვით, ახლო მომავლისათვის ქალაქგარეთ ექსკურსია მოგვეწყო. მალე განზრახვა სხვებსაც გავუზიარეთ. გადაწყდა, მომდევნო შაბათ-კვირას ქალაქგარეთ გავსულიყავით, მაგრამ სად, რომელ მხარეს? საქართველოს ყოველი კუთხე ხომ უსაზღვროდ ლამაზი და თავისებურია.

ზოგმა სათაფლია და გელათი ირჩია, ზოგს სამხრეთ საქართველოს საოცრების — ვარძიის ნახვა უნდოდა, ზოგს კიდევ ნიკორწმინდის ხილვა ეწადა. ბოლოს, არჩევანი ჩვენი საამაყო მგოსნის მშობლიურ სხვიტორს ხვდა წილად.

ყველა კმაყოფილი იყო — ქართული პოეზიის უგვირგვინო მეფის, აკაკი წერეთლის სახლ-კარის ხილვა ყველასათვის საინტერესო და სასურველია.

საჩხერისაკენ მიმავალ სამანქანო გზას დავადექით. სოფელ ალს გავცდით თუ არა, ჭერეთხევის ორხევში ბუნება ერთბაშად შეიცვალა. ისეთი ნისლი ჩამოწვა, რომ ხუთ მეტრზე ვერაფერს ვხედავდით. მძღოლი შეშინდა, არსად გადავიჩეხოთო. იძულებული გავხდით, შევყოვნებულიყავით.

15-20 წუთის შემდეგ ოდნავ გამოიდარა, ზევით, სულ ზევით, თხემისაკენ მიიწევდა ფთილა ღრუბლები.

სამ-ოთხ საათში ზემო იმერეთის შესანიშნავ კუთხეში — საჩხერეში ჩავედით.



საჩხერე. აკაკის სახლ-მუზეუმი



კურორტი კვერეთი

... აკაკის სამშობლო, მდინარე ჩიხურა, მწვანეში ჩაფლული როსტომ წერეთლის სასახლე, უკვდავი პოეტის სახელობის სახლ-მუზეუმი.

მოკრძალებით ავდივართ თეთრი შენობის კიბეზე. ინტერესით ვათვალიერებთ ექსპონატებს, ვისმენთ საუბარს აკაკის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. სპეციალურ წიგნში შთაბეჭდილებებს ვწერთ, ვემშვიდობებით მასპინძლებს და გეზს საქვეყნოდ ცნობილ კურორტ კვერეთისაკენ ვიღებთ.

სხვიტორიდან კვერეთამდე კარგი სამანქანო გზაა. მშვენიერი კვერეთი — ცათამდე ატყორცნილი მთები, კრიალა ჰაერი... აქ თითქოს ზეცაც სხვანაირია.

კვერეთი შესანიშნავი კურორტია. საიდან, რომელი კუთხიდან არ მოიჩქარიან ადამიანები, რომ განიკურნონ, გაჯანსაღდნენ და შინ კმაყოფილი დაბრუნდნენ.

სანატორიუმის კარიბჭესთან გულღიად გვხვდებიან დამსვენებლები.

შორეული ციმბირიდან ჩამოსული ბერიკაცი გავიცანით. ახოვანი, ჯანიანი ჩანს — ნეტავ რა აწუხებს ასეთი შორეთიდან რომ მოიწევდა? — ვფიქრობ ჩემთვის. ალბათ კვერეთის სასწაულმოქმედმა სამკურნალო წყლებმა ჩამოიყვანა. „ჩემს ფეხებს თუ რაიმე უშველიდა, არავის ეგონა. ახლა აბა, საკუთარი თვალით ნახეთ, საცოლო ბიჭივით დავკუნტრუშობ ბერიკაცი“, — ეშმაკურად გვიღიმის იგი.

მოსაცდელ დარბაზში მოსკოველ და ლენინგრადელ დამსვენებლებს ვხვდებით. ისინი წასასვლელად ემზადებოდნენ და შთაბეჭდილებათა წიგნს კითხულობდნენ, მადლობის ჩაწერა გვინდა გაჯანსაღებისა და კარგად გატარებული დღეებისთვისო. ასეთივე აზრი გამოთქვეს ივანოველმა ფეიქარმა და დონეცკელმა მეშახტემაც.

... რა დაგიმალოთ და, ძალიან გაგვახარა ჩვენი ქართული კურორტის ასეთმა ქებამ.

ირგვლივ მხიარულებაა. სიცოცხლე გამეფებულა.

იქით მივიჩქარით, საიდანაც რუსული მელოდია მოისმის. ლამაზად მოკამკამე ხელოვნური ტბის ნაპირზე დამსვენებლები ჩამომსხდარან და კომპოზიტორ სოლოვიოვ სედოის „მოსკოვურ საღამოებს“ მღერიან. ჩვენ ქართული სიმღერები წამოვიწყეთ; რუსი ამხანაგები აგვყვნენ.

მოხიბლულები ვტოვებთ კვერეთს, მეგობრობის მშვენიერ კერას.

გეზს მანგანუმის ქალაქისაკენ ვიღებთ. ოციოდე წუთი, და მღვიმევის დედათა მონასტერში ვართ. ამ მონასტერს მერვე საუკუნეს მიაწერენ, იგი მნახველს განაცვიფრებს თავისი არქიტექტურითა და მხატვრობით.

ციცაბო ბილიკები ავიარეთ და მონასტრის კარიბჭეს მივადექით, შავოსანი კეთილი სახის მონაზონი ქალი თავაზიანად გვეგებება და ციცაბო კლდის ხელოვნური ვიწრო გზით ტაძრისაკენ მიგვიძღვის.

მღვიმევის დედათა მონასტერი ვეებერთელა ბუნებრივ გამოქვაბულშია გამოკვეთილი. მას დღემდე არ დაუკარგავს თავისი დიდებული იერი. ბარაქალა ჩვენს წინაპრებს, ლოდებისათვის უკვდავი სული რომ შთაუბერავთ!

გვანცვიფრებს საუკუნეებში ქარცეცხლგამოვლილი, დღემდე დაცული და შემონახული, ვაზისაგან შეკრული ვეებერთელა კარი, რომელიც რომელიღაც უცნობ დიდოსტატს მოუჩუქურთმებია.

მონასტრის ქვემოთ გვირაბი გაწოლილა. ამ გვირაბს სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონია.

მონაზვნებს ვემშვიდობებით და ჯრუჭის მამათა მონასტრისაკენ მივიწევთ.

წარმტაცი სანახავია მდინარე ჯრუჭულას ხეობა. წალკოტოვან ხეობაში ტყე-ველის ფონზე მონასტრის თეთრი ქონგურები ელვარებს. მწვანე ქათიბში ჩასმულ თეთრ მონასტერს რომ მივუახლოვდით, უნებლიეთ ანა კალანდაძის ლექსის სტრიქონები მომაგონდა.

ჩემო ჯრუჭულავ,
ღვთაებრივ მთაზედ,
თოვლისფერ ფაფუკ
ღრუბლებს
რომ ერთვის,
ვარსკვლავი ბრწყინავს
ასე საამოდ
თუ წმინდა მამებს
უნთიათ ზეთი.

მოსაღამოვდა, ვჩქარობთ, ჯრუჭულის ქათქათა ტალღებით ვიგრილებთ ნამგზავრ სხეულს, კალმახებზე ხელით ნადირობასაც ვცდილობთ...

საღამოს მონასტრის მწვანედ აბიბინებულ ეზოში ვსეირნობთ. ამაღამ აქ, ამ უკაცრიელ, მაგრამ მშობლიურ მიდამოებში მოგვიხდება ღამის გათევა. ხვალ... ხვალ კი საჩხერის „მოდინახეს“ ციხეს და აკაკის საოცნებო სოფელ სავანეს ვეწვევით.

ვლ. ყაველაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აქ ამზადებენ მერხს „ბაიასა“ და „იას“...



ბავშვებისათვის ავეჯი



გადააბიჯებთ თუ არა თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკის სადემონსტრაციო ოთახის ზღურბლს, ბავშვთა სამყაროში აღმოჩნდებით. აქ ნახავთ ნორჩებისათვის განკუთვნილ დაბალ მაგიდებსა და სკამებს, კარადას, პირსახოცების საკიდებს, ჩვილის საწოლებს.

ნაკეთობათა ავტორებს გაუთვალისწინებიათ მოზარდთა ემოციები, ასაკობრივი თავისებურებანი. მათ სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის ორი კომპლექტი შეუქმნიათ „ბაია“ და „ია“. მათში შედის ოთხადგილიანი მაგიდა თავისი სკამებით, მეორეში — ერთადგილიანი სამკუთხა მაგიდა თავისი სკამებით. „ბაია“ განკუთვნილია სამ წლამდე ასაკის ბავშვებისათვის, ხოლო „ია“ მოზრდილებისათვის არის დამზადებული.

თვალს ხიბლავს თეთრი, წითელი, ლურჯი, ცისფერი, ყვითელი ფერის მაგიდები და სკამები. ცხადია, პატარებს ისინი მოეწონებათ და დიდადაც გაიხარებენ.

სადემონსტრაციო ოთახის ერთი კუთხე სკოლამდელი ასაკის ბავშვთა (ბაგა-ბაღების) ავეჯისათვის დაუთმიათ, მეორე—სასკოლო ავეჯისათვის.

აქ ყველაფერი ახალი კონსტრუქციისაა, ღია ფერისა, სადა და ლამაზი. შავი, ტლანქი მერხი მოდიდან გამოსულა. ახლა იგი რკინის წვრილ ფეხებზე შემდგარა და თეთრად ქათქათებს. ცვლილება განუცდია მასწავლებლის საკლასო და სადემონსტრაციო მაგიდებს. ჰაეროვანი მერხები დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის კეთდება, უფროსკლასელებს მერხის ნაცვლად მაგიდებს უმზადებენ.

სასკოლო და საბავშვო ავეჯი, რომელსაც საწარმო უშვებს, კავშირის მასშტაბით მოწონებას იმსახურებს.

1974 წელს მოსკოვში, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, კომპლექტმა „ნუკრიმ“, რომელიც მაშინ მზადდებოდა, ვერცხლის მედალი დაიმსახურა. 1976 წელს კომპლექტებს „იასა“ და „ბაიას“ ბრინჯაოს მედალი ხვდათ. 1976 წელს საფრანგეთში მოწყობილ სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გამოფენაზე თბილისური საბავშვო ავეჯი იყო ექსპონირებული. შარშანაც დაამშვენა მან პოლონეთის გამოფენის ექსპოზიცია.

სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის გამოშვებულ ავეჯს „იას“, „ბაიას“, და ჩვილის საწოლს სახელმწიფო ხარისხის ნიშანი აქვთ მინიჭებული.

ფაბრიკის კოლექტივი საწარმოო დავალებებს ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს.

— გეგმის შეუსრულებლობა გამორიცხულია, — თქვა დირექტორმა სპირიდონ ქარჩავამ, — მოგეხსენებათ, რომ თბილისის პირველი მაისის რაიონისა და ქუთაისის მშრომელთა ინიციატივამ — გეგმას ყველა საწარმო უნდა ასრულებდეს! — დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ეს თაოსნობა ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავს მიეძღვნა და დღესაც გრძელდება.

წლეულს პროდუქციის რეალიზაციის ექვსი თვის გეგმა ფაბრიკამ 63 ათასი მანეთის, ხოლო სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისა — 68 ათასი მანეთის გადაჭარბებით შეასრულა.

რესპუბლიკის ბევრმა სკოლამ ივნის-ივლისში ამოწურა საკუთარი ფონდი და ინვენტარი 20 ივლისისათვის მიიღო. მხოლოდ გორისა და სამტრედიის კაპიტალურ მშენებლობათა სამმართველოებს (რომლებიც ამ ზონებში აშენებდნენ სასკოლო შენობებს) ჰქონდათ აუთვისებელი ავეჯისათვის განკუთვნილი ფონდი, მაგრამ ივლისის დამლევს და აგვისტოს დამდეგისათვის ახალი ავეჯი ყველა ახალმა სკოლამ მიიღო.

წარმატებებსა და მაღალ ხარისხს ფაბრიკის ახალი აღჭურვილობა განაპირობებს. წლეულს აქ დაინერგა ნაწიბურების დამფანერებელი ნახევრად ავტომატური ხაზი, მომპირკეთებელი კომპლექსის ლაქდამსხმელი დანადგარი და სხვა მოწყობილობა.

მზადდება ნიადაგი ახალი პროდუქციის გამოსაშვებად. წელს უნდა აითვისონ და დამზადონ ახალი კონსტრუქციის მერხები. მიღებულია გასაშლელი დაფის პროექტი, რომელსაც რუკებისა და სხვა ხელსაწყოთა შესანახი ყუთები აქვს დატანებული. დახურული დაფის სიგანე სამი მეტრია, გაშლილისა — ექვსი მეტრი.

1979 წლისათვის მოწყობილ გამოფენა-ბაზრობაზე ფაბრიკამ 10-12 წლის ასაკის ბავშვებისათვის სამი ტიპის საწოლები წარმოადგინა. სამხატვრო საბჭომ ნიმუშები დაამტკიცა. წლეულს, მეოთხე კვარტალში დაიწყება მათი სერიული გამოშვება.

ახალი სასწავლო წლისათვის შემუშავებულია აგრეთვე სასწავლო-საკლასო მაგიდების ახალი პროექტი. დამტკიცების შემდეგ დაიწყება მათი დამზადებაც. სასკოლო ინვენტარი ასაკობრივ თავისებურებებს ითვალისწინებს. კეთდება სამი ზომის მერხები და ლაბორატორიული მაგიდები, ხუთი ზომის— სამოსწავლო-საკლასო მაგიდები.

პერსპექტივა ასეთია — გაისად ფაბრიკის ახალი კორპუსები აშენდება. მეათე ხუთწლედის ბოლოსათვის მისი დამატებითი სიმძლავრე 800 ათასი მანეთის მოცულობით გაიზრდება.

კეთილი სიტყვის ღირსნი არიან ადამიანები, რომლებიც მაღალხარისხოვან ავეჯს უმზადებენ მოზარდ თაობას. ფაბრიკაში გეგმებს ყველა ასრულებს და ამ ნიშნის მიხედვით გამორჩევა ძნელია, ამიტომ საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს დავასახელებთ— სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ავეჯის საამქროს ბრიგადირის, კომუნისტ სერგო დარჩიაშვილის ბრიგადა ამზადებს იმ პროდუქციას, რომელსაც სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიენიჭა. ქების ღირსნი არიან სასკოლო ნაკეთობათა ავეჯის საამწყობო საამქროს ახალგაზრდა ბრიგადირი ვახტანგ დუდა, ამწყობთა ბრიგადის წევრები ლევან ძეგველაშვილი, ნუნუ ცხვედიანი, მეხავი ომარ ელბაქიძე და სხვები. ფაბრიკის მთელი კოლექტივის დამსახურებაა, რომ საწარმო საუკეთესო პროდუქციას უშვებს, რომელიც უწუნოდ და ურეკლამაციოდ მუშაობს და მოძმე რესპუბლიკებშიც დიდად პოპულარულია.

ნ. ნუცუბიძე



გამარჯვებული გუნდი

# ფეხბურთი წკრიალა ხმების აკომპანიმენტით

არგენტინაზე, მსოფლიო ჩემპიონატზე, იმდენი დაიწერა, იმდენი ითქვა, რომ ფეხბურთის გულშემატკივარს ლამის ერთგვარი მოყირჭების გრძნობაც კი გაუჩნდა. მართლაც, დიდი ასპარეზობის დღეებში საინფორმაციო საშუალებები წუთითაც არ ისვენებდნენ, ჯადოქრული კონვეიერივით ათასგვარ მასალას აწვდიდენ ფეხბურთის მოყვარულთ. მაგრამ ერთი მომენტი ზედმიწევნით საგულისხმოა: ალბათ, არც ერთი ჩემპიონატი არ გაშუქებულა თავისი ატმოსფეროთი — გარემოთი ისე დაწვრილებით, როგორც არგენტინაში. გარემოში ვგულისხმობ მაყურებელთა ცეცხლოვან რეაქციას, სტადიონების ცხოვრებას თამაშის დაწყებამდე და მის შემდეგ, საკარნავალო-სადღესასწაულო სანახაობებს, არგენტინელთა დამოკიდებულებას სტუმრებისა და სპორტსმენებისადმი. შემთხვევითი არ არის, რომ ჟურნალისტთა მრავალათასიანი რაზმი არგენტინიდან შინ კმაყოფილი დაბრუნდა. დაბრუნდა, რათა მკითხველებისათვის ეამბნა, რომ არგენტინა მარტოოდენ საფეხბურთო ქვეყანა არ არის, რომ არგენტინელთა თავაზიანობა და სტუმართმოყვარეობაც ნამდვილად სამაგალითოა.

მართლაც, პირდაპირ საკვირველი იყო, როგორ ახერხებდა ურიცხვი მაყურებელი მაქსიმალურად გამოეხატა თავისი ემოცია და თანაც ერთხელაც კი არ დაერღვია საყოველთაოდ აღიარებული და დადგენილი ეთიკური ნორმები. მე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი იმ უდავო ჭეშმარიტებაში, რომ ფეხბურთი ნებისმიერ დონეზე, რაოდენ მნიშვნელოვანიც უნდა იყოს მისი საბოლოო შედეგი, მთლიანად ემიჯნება თავაშვებულობასა და ხულიგნობას. იგი, კეთილშობილური და რაინდული თამაში, პრინციპულად შეუთავსებელია ექსცესებთან, გაბოროტებასთან, ლანძღვა-გინებასთან. კიდევ უფრო განმტკიცდა აზრი იმაზე, რაზეც ბევრი გვილაპარაკია და დაგვიწერია: მშვენიერი სქესი ისევე ესაჭიროება ფეხბურთს, როგორც მისთვის თავგადადებული მამაკაცი გულშემატკივრები. ახლა ვფიქრობ, რამდენს დაჰკარგავდა არგენტინის ჩემპიონატი, მაყურებელთა საგრძნობი ნაწილი ქალები რომ არ ყოფილიყვნენ. აღმოჩნდა, რომ მათ მამაკაცებზე ნაკლებ როდი შეძლებიათ გულშემატკივრობა, რაც სათავეს ფეხბურთის ცოდნიდან იღებს. მათი რეაქცია ამა თუ იმ სათამაშო სიტუაციაში ზუსტი და შეუცდომელი იყო. სხვათა შორის, არც მოსვლია ვინმეს აზრად, გაჰკვირვებოდა ქალების დასწრება მატჩებზე, იმდენად ორგანულად იყვნენ ისინი შერწყმული მაყურებელთა ნაკადთან. ქალები აფრიალებდნენ დროშებს, თავიანთ წკრიალა ხმას უერთებდნენ გულშემატკივართა ყიჟინას, საყვარელი გუნდის გამარჯვების შემდეგ სიამაყით აცრემლებულნი გამოდიოდნენ ქუჩებში, რათა სხვებთან ერთად ზეიმი გაეგრძელებინათ. არ იფიქროთ, თითქოს მატჩებს მხოლოდ გოგონები, ახალგაზრდები ესწრებოდნენ. მაყურებელთა შორის მანდილოსნებსაც მრავლად ნახავდით, რომლებიც ქმრების თანხლებით სტადიონებისაკენ მიეშურებოდნენ. ამ განსხვავებული ასაკის წარმომადგენლებს აერთიანებდათ ფეხბურთისა და თავიანთი ქვეყნის უსაზღვრო სიყვარული, უდიდესი პატივისცემა სტუმრებისადმი, საერთოდ, მსოფლიო ჩემპიონატისადმი, რომელმაც თავისი სპორტული დროშით დედამიწის საუკეთესო ფეხბურთელებს მოუხმო.

ათასობით მაყურებელთან ერთად მეც თანაგრძნობისა და აღტაცების შერეული გრძნობა დამეუფლა, როცა ფინალური მატჩის დროს ტრიბუნიდან საკაცით გულშე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლონებული ქალიშვილი გაიყვანეს. იმ წუთში იგი საერთო ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. ახლომახლო მყოფი მაყურებელი, რომელსაც სხვა ვერავითარი ძალა ვერ მოსწყვეტდა მატჩის ყურებას, ფეხზე წამოდგა, რათა საკაცე დაუბრკოლებლად გაეტარებინათ. დარწმუნებული ვარ, იმ წუთში მათ გადაავიწყდათ თამაში, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა, გახდებოდა თუ არა არგენტინის გუნდი მსოფლიო ჩემპიონი. მართალი გითხრათ, პირადად ჩემთვის ფინალური მატჩი ამ შემთხვევით არის შეფერილი...

არანაკლები შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე ერთმა დაუვიწყარმა სურათმა. ქუჩებში გამოფენილ ხალხთან ერთად, თავიანთი გუნდის გამარჯვებას ზეიმობდნენ... ჩვილ ბავშვიანი დედებიც. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ეს თოთო ბავშვებიც იზიარებდნენ დედების სიხარულს: ბავშვს, რა ასაკისაც უნდა იყოს იგი, მშობლის გუნება-განწყობილება რაღაც მეექვსე გრძნობით შეუძლია გამოიცნოს. ალბათ ამიტომაც პატარების თვალებზე ცრემლი არ დაგვინახავს. მკითხველი მაპატიებს ერთგვარ სენტიმენტალობას, ასეთმა სცენებმა არ შეიძლება საპასუხო დადებითი ემოცია არ გამოიწვიოს.

საერთოდ, ქალები თვალსაჩინო როლს ასრულებდნენ ჩემპიონატის ორგანიზაციაში. მაგალითად, უზარმაზარი პრესცენტრის გამგებლები სწორედ ისინი იყვნენ. მათ დიდი ღირსებითა და ტაქტით ეჭირათ თავი.

ტრადიციული სამსახურებრივი თავაზიანობა გაზავებული იყო გულითადობასთან, უშუალობასთან, მუდმივ მზადყოფნასთან, პატივი ეცათ სტუმრისათვის. პრესცენტრის გარდა, რომელიც ჟურნალისტთა მთავარ შტაბს წარმოადგენდა, სტადიონზე პრესის მუშაკებისათვის ადგილები საგანგებოდ იყო გამოყოფილი. ერთ-ერთი მატჩის დაწყებამდე ჩვენთან, საბჭოთა ჟურნალისტებთან, თავაზიანი ღიმილით მოვიდა მომხიბლავი ქალიშვილი, თურმე მან მცირეოდენი რუსული იცოდა და სტადიონის დათვალიერება შემოგვთავაზა. ახლა ვფიქრობ, ის ღვთისნიერი, გულკეთილი გოგონა რომ არა, ჩვენ არაფერი გვეცოდინებოდა სტადიონთან მოწყობილი გიგანტური ფოტოლაბორატორიისა და ტელეტაიპის მუშაობაზე.

ქალებს ებარათ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩემპიონატის სერვისის საქმეც. თუმცა, არგენტინაში ჩვენი ყოფნის დროს საკმაოდ გრილოდა, მაინც სიამოვნებით გეახლებოდით კოხტა ქალიშვილების მორთმეულ გამაგრილებელ წყალს. მაგრამ, როგორც ჩანს, იმდენად წყალი არ გვესიამოვნებოდა, რამდენად დამტარებლის სინატიფე და გულითადობა.

აქამდე ჩვენი საუბარი ჩემპიონატში „მონაწილე" ქალებს დასტრიალებდა. ვიდრე ამ თემით თავს მოგაბეზრებდეთ, ერთი მოსაზრებაც მინდა გამოვთქვა: არგენტინელებს ზრდილობა და თავშეკავება არ ესწავლებათ, მაგრამ მათ „რკინისებურ" გულშემატკივრულ დისციპლინას ისიც ხომ არ განაპირობებდა, რომ ტრიბუნებზე თავიანთ გვერდით კაცობრიობის საუკეთესო ნახევარს ხედავდნენ!?

ჩვენმა ნაამბობმა ზოგიერთ მკითხველს შესაძლოა ეჭვიც გაუჩინოს: ხომ არ აზვიადებს წერილის ავტორი, როცა განსაკუთრებით გამოყოფს გულშემატკივართა კორექტულობას. აქაოდა, არც ისეთი მამა აბრამის ბატკნები არიანო არგენტინელი ფეხბურთის მოყვარულები, მით უმეტეს ტელეეკრანებზე წამდაუწუმ უჩვენებდნენ მაყურებელთა აგზნებულ სახეებს და გაისმოდა უწყვეტი ყიჟინა. მერედა, ვინ დაუშალა მაყურებელს გულშემატკივრობა, ვინა თქვა სტადიონი საკონცერტო დარბაზს უნდა წააგავდესო. ფეხბურთი ბევრს, ძალზე ბევრს დაკარგავდა, თუკი მაყურებელი თავის ჯანსაღ ემოციას დათრგუნავდა; კეთილშობილური ვნებათა ღელვა თავის ლაზათს მატებს ხოლმე სპორტულ სანახაობას! დიახ, ტრიბუნებზე — ფრიალებდა ურიცხვი დროშა, დიახ, სათვალავი არ ჰქონდანაირფერ ტრანსპარანტებს, მოედანზე მიქროდა უამრავი ქაღალდის „ფრანი", უზარმაზარი სტადიონის ტრიბუნები ერთი წუთითაც არ ცხრებოდა, თითქოს ქარიშხალმა გადაუარაო, ტალღებად იქოჩრებოდა. მაგრამ ამ ენით აუწერელ ენთუზიაზმში არ იკარგებოდა ზომიერების ზღვარი, რომელიც განსაკუთრებული მნიშვნელობის მატჩებისას ერთობ სუსტია, მერყევია. სწორედ ამ დროს მჟღავნდება, უყვარს და ესმის თუ არა მაყურებელს ფეხბურთი, რომლის სანახავადაც მოსულა სტადიონზე. ბოლოს და ბოლოს, სხვამ თუ არა, თვით ფეხბურთის პატივისცემამ საკუთარი თავისა და სხვათა ღირსებისადმი მაყურებელს უნდა შეაძლებინოს მოძალებული „აგრესიული" გრძნობების დაოკება. მაშინ ქალებიც ხალისით ივლიან სტადიონებზე...

ახლა თავად „მის უდიდებულესობა" ფეხბურთზე: ხშირად მეკითხებიან, სამართლიანი იყო თუ არა მასპინძელთა გამარჯვება. ფეხბურთის სპეციალისტებს აზრადაც არ მოსდით, ეჭვი შეიტანონ ჩემპიონატის საბოლოო შედეგში, მაგრამ პროფესიონალების აზრი მუდამ როდი ემთხვეოდა გულშემატკივრებისას. რა თქმა უნდა, არგენტინელებს დიდი დახმარება გაუწია „საკუთარი კედლების" ფაქტორმა, მაგრამ რანაირად შეიძლებოდა, რომ ასე არ ყოფილიყო. მასპინძელს მუდამ აქვს ეს უპირატესობა და ამაზე დავა-კამათი უნაყოფოა. რაც შეეხება ჩემპიონატის წმინდა საფეხბურთო მხარეს, არგენტინელებს ტოლი არ ჰყოლიათ. მათი მეტოქეები ან ზედმიწევნით ფრთხილად და ანგარიშიანად თამაშობდნენ, ანდა არგენტინული „წნეხის" ქვეშ იდრიკებოდნენ და ფარ-ხმალს ყრიდნენ. მათ ისე მოუგეს თავიანთ უპირველეს მეტოქეებს — ჰოლანდიელებს, რომ შედეგის კანონზომიერებაში ეჭვის ნატამალიც კი არ დაუტოვებიათ. რაც შეეხება მარჩიელობას, უნდა გასულიყო თუ არა არგენტინელთა კარში მეორე ტაიმის ბოლო წუთზე რობი რენსენბრიკის მიერ ეშმაკურად დარტყმული ბურთი — იგი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ბურთი კარში გატანილად ითვლება მხოლოდ მაშინ, როცა იგი ბადეში გაეხვევა ანუ გადაჰკვეთს კარის ხაზს. ყველა სხვა შემთხვევაში, გინდა ძელისთვის მოგიხვედრებია ბურთი და გინდა ათი მეტრით დაგიცილებია, დარტყმა უზუსტოდ ჩაითვლება. როგორც ფინალური მატჩების დამატებითმა დრომ დაგვანახა, რენსენბრიკის ბურთი არ უნდა გასულიყო; სხვანაირად ჩემპიონატს ნამდვილი გამარჯვებული არ ეყოლებოდა.

დ. ანანიაშვილის ფოტოები



ტრავმირებული გულშემატკივარი



ჰოლანდიის გულშემატკივრები

თავი დავანებოთ ჩემპიონატის ცალკეულ პერიპეტიებს, თუმცა სპორტში იღბლის ელემენტი, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, თვალსაჩინო როლს ასრულებს. ჩვენთვის საინტერესოა, არგენტინელთა ტრიუმფი მხოლოდ სპორტულ გამარჯვებას გულისხმობდა თუ ახალ მიმართულებას ფეხბურთში. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, არგენტინაში გაიმარჯვა ტექნიკურმა, ელვისებურმა, გააზრებულმა, შემტევმა და ლამაზმა ფეხბურთმა.

არჩილ გოგელია,
ბუენოს-აირესი —თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ორფიკული არგონავტიკის" მთარგმნელი



სულ ახალგაზრდა წავიდა ნათელა მელაშვილი ჩვენი ცხოვრებიდან, უფრო სწორად კი, იგი დარჩა ჩვენს ცხოვრებაში ოცდაექვსი წლისა, ლამაზი, ჭკვიანი, ღვთით მომადლებული ნიჭით, იუმორის გრძნობით აღსავსე, ცოცხალ თვალებში მუდამ ნათელი სხივი რომ უციმციმებდა.

ნათელა მუდამ ბევრს მუშაობდა, სურდა ღრმად შეესწავლა ბერძნულ-ბიზანტიური და ქართული კულტურული მრავალსაუკუნოვანი ისტორია, ძველი ბერძნული და ლათინური ენები, უკვე სტუდენტობის წლებშივე გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობით. მისი საკონფერენციო თემები მუდამ პირველი პრემიით აღინიშნებოდა ხოლმე, ხოლო სადიპლომო ნამუშევარი პროფესორ-მასწავლებლებმა ერთსულოვნად აღიარეს. 1972 წელს უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, ნათელამ მუშაობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახლადჩამოყალიბებულ „ბერძნულ-ლათინურ ბიბლიოთეკაში" უფროს რედაქტორად, იმავე წელს ჩაირიცხა კლასიკური ფილოლოგიის კათედრის ასპირანტად. ნათელა ახალგაზრდა მეცნიერმუშაკთა სამეცნიერო საბჭოს წევრი, ასპირანტთა და თანამშრომელთა ალკკ ორგანიზაციის ბიუროს მდივანი იყო. ყოველივე ეს ხელს არ უშლიდა მთელი არსებით მისცემოდა იმ საქმეს, რაც სიცოცხლესავით უყვარდა: ნათელას მიზნად ჰქონდა დასახული სრულად ეთარგმნა დიდი რომაელი პოეტის პუბლიუს ოვიდიუს ნაზონის თხზულებები. ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში თარგმნა მან რამდენიმე ელეგია ოვიდიუსის სატრფიალო სიმღერებიდან, რომლებიც პირველად 1973 წელს გამოქვეყნდა კრებულ „პირველ სხივში" (№ 9); ნ. მელაშვილმა ოვიდიუსის დიდებული პოემის „მეტამორფოზების" თარგმნაც დაიწყო, მაგრამ არ დასცალდა ბოლომდე მიეყვანა ეს მეტად რთული საქმე. ჩვენ დაგვრჩა „მეტამორფოზების" ექვსი წიგნის მაღალმხატვრული თარგმანი და ათი წიგნის სტრიქონთარგმანი (პწკარედი). უახლოეს ხანში ეს გრძელი „ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკის" სერიით გამოვა. მასში პირველი ექვსი სიმღერა სწორედ ნათელას თარგმანით იქნება წარმოდგენილი.

ნათელა მელაშვილი სტუდენტობის წლებშივე დაინტერესდა ფსევდოორფევსის „არგონავტიკით", რომელიც მან სადიპლომო თემად აირჩია. ამავე თემაზე მუშაობდა ის ასპირანტურაში სწავლის პერიოდშიც. ნათელამ მოასწრო ამ თხზულების ძველი ბერძნული ენიდან თარგმნა და მის შესახებ მნიშვნელოვანი გამოკვლევის ძირითადი ნაწილის დაწერა. ამ მასალებმა თავი მოიყარა ნ. მელაშვილის ხელმძღვანელის — პროფ. აკ. ურუშაძის ხელში, რომელიც დიდი სიყვარულითა და მონდომებით მოეკიდა მათს წიგნად გამოცემას. და აი, 1977 წელს „ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკის" სერიით გამოვიდა „ორფიკული არგონავტიკა", რომლის თარგმანი და გამოკვლევა ეკუთვნის ნ. მელაშვილს, ხოლო რედაქცია, შენიშვნები და საძიებელი — პროფ. აკ. ურუშაძეს. ეს გამოცემა ფრიად საინტერესოა ბერძნულ-ქართულ ისტორიულ ურთიერთობათა თვალსაზრისით. როგორც ცნობილია, არგონავტთა თქმულების მიხედვით შექმნილ ძველ ბერძნულ ეპიკურ ძეგლებში დიდი ადგილი უჭირავს ძველ კოლხეთთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებს, რომელთაც გვერდს ვერ აუვლიან საქართველოს ისტორიით დაინტერესებული მკვლევარნი. ქართულ ენაზე უკვე თარგმნილია მრავალი თხზულება თუ ფრაგმენტი, რომლებიც კოლხეთის სურათებს წარმოადგენს. რაც შეეხება ფსევდო-ორფევსის ანუ ორფიკული „არგონავტიკის" სახელით ცნობილ თხზულებას, რომლის შექმნის დროდ ახ. წ. III-IV საუკუნეები ივარაუდება, ეს ანტიკური ეპოსის ერთ-ერთი უკანასკნელი ძეგლია, სადაც ძველი კოლხეთის ისტორიის თვალსაზრისით მრავალი საინტერესო ცნობაა წარმოდგენილი. ეს პოემა, რომელმაც ჩვენამდე სრულად მოაღწია (იგი 1384 კარედს შეიცავს), პირველად ითარგმნა ქართულ ენაზე (აღსანიშნავია, რომ ის რაც რუსულ ენაზეა თარგმნილი). ამასთანავე მელაშვილის გამოკვლევა პირველი ცდაა ამ პოემის საფუძვლიანი შესწავლისა. აკაკი ურუშაძე წინასიტყვაობაში აღნიშნავს: „ამ გამოკვლევაში ზოგი რამ შეიძლება სადავო იყოს, მაგრამ საერთოდ იგი ორფიკული „არგონავტიკის" შესახებ დაწერილ სერიოზულ ნაშრომს წარმოადგენს". ამ გამოკვლევაში ნ. მელაშვილი ორფიკულ „არგონავტიკასთან" დაკავშირებულ მრავალ საყურადღებო საკითხს განიხილავს და ვრცლად ეხება ბერძნულ და ლათინურ წყაროებში დაცულ არგონავტების მითს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავს უყრის იმ გადმოცემებს, რომლებშიც ამ მითის სხვადასხვა ვერსიებია წარმოდგენილი. ცნობილია, რომ არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის მითი, მოყოლებული უძველესი ეპოქიდან, მრავალმხრივ განიცდიდა ცვლილებებს, მრავალგზის გადამუშავებულა სხვადასხვა თვალსაზრისით, მაგრამ მასში მთავარი ადგილი ყოველთვის ეკავა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე არსებულ მსხვილ გაერთიანებას, რომელიც აია-კოლხეთის სახელით იყო ცნობილი. როგორც გამოკვლევის დასაწყისშია აღნიშნული, „ორფიკული არგონავტიკის“ შესწავლა საინტერესოა, როგორც ძველი კოლხეთის ისტორიის, ბერძნული ლიტერატურის ამ ნაკლებად გაშუქებულ პერიოდზე დაკვირვების თვალსაზრისით. ამას შეიძლება ისიც დაემატოს, რომ პოემა მჭიდროდ არის დაკავშირებული ანტიკურ საბერძნეთში ფართოდ გავრცელებულ ორფიკულ მიმდინარეობასთან, რომელმაც მრავალი საუკუნე იარსება და ბიზანტიურ პერიოდში აღმოცენებული ქრისტიანობის სერიოზული მეტოქე იყო, თანაც ერთგვარად დასაყრდენი მოუმზადა მას“.

ნ. მელაშვილი თავის გამოკვლევაში მარტო საბერძნეთ-კოლხეთის ურთიერთობის საკითხებს კი არ ეხება, არამედ ორფიზმის მისტიკური მოძღვრების არსსაც (იხ. თავი „ორფიზმი და ორფიკული „არგონავტიკა“, გვ. 52). და განსაკუთრებით გულდასმით განიხილავს თვითონ პოემას, მის ხელნაწერებს, გამოცემებს, ლექსიკას, თარგმანებს, სტილს, შეთხზვის დროსა და სხვა პრობლემურ საკითხებს. აღსანიშნავია, რომ ჩვენამდე სრულად მოაღწია ძვ. წ. ა. III საუკუნის თხზულებამ „არგონავტიკამ“, რომლის ავტორადაც აპოლონიოს როდოსელს მიიჩნევენ. ორფიკული „არგონავტიკის“ უცნობი ავტორი ბევრ რამეს სესხულობს აპოლონიოსის პოემისაგან.

ნ. მელაშვილი გამოკვლევაში ერთმანეთს უპირისპირებს სხვადასხვა ეპოქაში ერთსა და იმავე თემაზე დაწერილ ამ ორ პოემას და მათ შინაარსობრივ-იდეურ ანალიზს წარმოადგენს. მისი აზრით, „მაშინ, როცა აპოლონიოსი არ სცილდება კლასიკურ ფორმას, ორფიკული „არგონავტიკა“ გვამცნობს მითოლოგიურ კონცეფციებს, რომლებიც რაღაც საინტერესოს წარმოადგენენ ჩვენთვის, როგორც ორფიზმის ისტორიის გასათვალისწინებელი მასალა“.

ამ თემის სრულყოფა არ დასცალდა ნათელას. ვინ იცის, რა მიზნებს ისახავდა ახალგაზრდა მეცნიერი, როგორ წარიმართებოდა მისი ცხოვრება, რას შექმნიდა მისი ნათელი გონება, მაგრამ რაც დატოვა მცირეჟამიერი მოღვაწეობიდან, საწინდარია იმისა, რომ ნათელა მელაშვილი თავის ადგილს დაიმკვიდრებს ქართულ კლასიკურ ფილოლოგიაში.

**ნანა ტონია**

ვახტანგ გორგანელი

# ომგადახდილი



ნინო კონსტანტინეს ასული ახალაძე რევოლუციონერთა ოჯახში აღიზარდა. მამამისი, ბათუმის როტშილდის ქარხნის მუშა, თავის ოთხ ძმასთან ერთად რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა. მისი ერთ-ერთი ძმა თეოფანე უკუღმართი ცხოვრების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისათვის 1902 წელს ცარიზმის აგენტებმა შეიპყრეს და ჩამოაღრჩეს. ოზურგეთელი ახალაძეების ბრძოლას ამაოდ არ ჩაუვლია. თავისუფლების საქმემ გაიმარჯვა. სხვა სიკეთესთან ერთად მშრომელთა შვილებისათვის განათლების გზაც გაიხსნა. ნინო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. უმაღლესი სასწავლებელი 1941 წელს დაამთავრა. თბილისის მე-2 საავადმყოფოში დაიწყო მუშაობა ქირურგ-ორდინატორად. მალე ომის ქარიშხალი ამოვარდა. ახალგაზრდა ექიმს გული ფრონტისაკენ მიუწევდა. ეს დღეც დადგა.

— ნოვოროსიისკში ჩავედით, — იგონებს რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი ნინო ახალაძე, — როგორც კი მატარებელი რკინიგზის სადგურთან გაჩერდა, მტრის ბომბდამშენები დაგვესხნენ თავს. ენით გამოუთქმელი უბედურება დატრიალდა. მეც არ ვიცი, როგორ გადავრჩი. მეორე დღეს გემით კამუშბურუნში გადავედით. აქ კიდევ უარესი ჯოჯოხეთი დაგვიხვდა. როგორც იყო მივაღწიეთ ქერჩის ევაკოჰოსპიტლამდე. აქ ცოტახანს ვიყავით. მალე 157-ე დივიზიის 716-ე მსროლელთა პოლკის ქირურგად გადამიყვანეს. ჩვენი სამედიცინო ასპარეზიც ცეცხლის ხაზი გახდა. დაჭრილი დაჭრილზე მოდიოდა. მოგეხსენებათ, რა მომქანცველია ამ დროს ქირურგის შრომა. ვეღარ ავუდიოდი სასწრაფო ოპერაციებს... ამას ვინ ჩიოდა, ყველაზე ძალიან ის მაწუხებდა, რომ მკერდგანგმირულ ლომებივით ბიჭებს ვერას ვშველოდით და თვალწინ გვეცლებოდნენ ხელიდან. ერთ საღამოს საველე ჰოსპიტალში მძიმედ დაჭრილი მეთაური მოიყვანეს, მაგიდის იქით მდგარ ექთანს ქართულად გადავძახე, სახვევები თუ გათავდა, ჩარსავები დაჭერი და ის იხმარე მეთქი. დაჭრილი გონს მოვიდა, თავი ოდნავ წამოსწია და ვედრებით მკითხა:

— ქართველი ხარ?

— ქართველი ვარ, ძმაო, ოზურგეთელი,— არ დავაყოვნე პასუხი.

— მეც იქაური ვარ, ცა... ხუთი ათასი დარჩეული ოზურგეთელი იბრძვის აქ. ამ დილას გურიიდან გამოგზავნილი ამანათები მივიღეთ, მაგრამ აღარ გვაცალეს ფაშისტებმა, ნენეს ნახელავის გემო რომ გაგვესინჯა. აგერ, ჩანთაში მაქვს, იქნებ შენ მაინც...

ვიცოდი ჩანთა აღარ ჰქონდა, მაგრამ განგებ დავუწყე ძებნა. რომ დაჭრილისათვის მესიამოვნებინა.

კიდევ უფრო დაიძაბა მდგომარეობა. სად იწყებოდა ფრონტის ხაზი და სად თავდებოდა, ვეღარ გაიგებდი. ცხარეზე ცხარე ბრძოლა იყო ყოველი მტკაველი მიწისათვის. ცა და დედამიწა ერთმანეთში ირეოდა. გარშემო ყველაფერი დუღდა, საოპერაციო მაგიდის ახლოს ჭურვები სკდებოდა. ბოლოს იქამდე მივიდა საქმე, რომ ერთდროულად დაჭრილისთვისაც უნდა მიგვეხედა და მტერიც მოგვეგერიებინა.

ნინო ღელავს, ყელის ძარღვები დაებერა, თვალები დაუწითლდა... წყალი მივაწოდე, მოსვა, სული მოითქვა, გაიარ-გამოიარა. ცოტახნის შემდეგ კვლავ განაგრძო:

— ბოლოს გათავდა მედიკამენტებიც. წარმოიდგინეთ ამ დროს ექიმის მდგომარეობა, შენს წინ მომაკვდავი წევს და ვერ ეხმარები.

ამ ოროშტრიალში ნინო ახალაძე მძიმედ დაიჭრა, ჰაერის ტალღამ ისე აიტაცა მაღლა და ისე დაახეთქა მიწაზე, რომ ხერხემალი დაუზიანდა. როგორც კი ჩამობნელდა, სხვა დაჭრილებთან ერთად გონდაკარგული ისიც გემზე მოათავსეს ზურგში გასაგზავნად. დაიძრა გემი, მაგრამ ვაი იმ დაძვრას! გარშემო ჭურვი ჭურვზე სკდებოდა. ციდან კიდევ უარესად უშენდა მტერი. უცებ გემი შეტორტმანდა და ჩაძირვა დაიწყო... ნინო გემის მესამე სართულზე იწვა იატაკზე. წყალი მესამე სართულსაც მიადგა და... იღბლად კატერიც მოვიდა. მამაცმა მეზღვაურებმა ნინო და სხვა დაჭრილები კატერზე გადაიყვანეს. ცოტახანს თემრუკის ჰოსპიტალში იწვა, მერე სლავიანსკში, სტალინგრადში, თბილისში. განიკურნა, კვლავ ფრონტისაკენ გაუწია გულმა, მაგრამ ყავარჯნებს დაყრდნობილი სად წავიდოდა! ისევ მშობლიურ გურიას დაუბრუნდა ომგადახდილი ქირურგი. მახარაძის ცენტრალურ საავადმყოფოში დაიწყო მუშაობა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. მართალია, ზარბაზნები კარგახანია დადუმდა, მაგრამ ადამიანის სიცოცხლისათვის ბრძოლას კვლავ აგრძელებს ნინო ახალაძე. ვინ მოთვლის, რამდენი საბჭოთა ადამიანის სიცოცხლე გადაურჩენია და კვლავ მშვიდობიანი შრომისათვის დაუბრუნებია მის მადლიან მარჯვენას. დიახ! მშვიდობიანი შრომისათვის, რომ ომის საშინელი დღეები აღარ განმეორდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არდავიწყება



რევოლუციისათვის ბრძოლის პერიოდში იყვნენ შეუმჩნეველი, თავმდაბალი ადამიანები, რომლებიც დიდ საქმეს აკეთებდნენ. ისინი ბოლშევიკებთან ერთად იბრძოდნენ ბედუკუღმართი ძველი რეჟიმის დამხობისათვის. ზოგიერთი მათგანი გარკვეული დროის მანძილზე დავიწყებას მიეცა, მაგრამ მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლნი კომუნისტურ პარტიას არასოდეს დავიწყებია.

ასეთი შეუმჩნეველი, მაგრამ დიდი საქმისათვის თავდადებული გახლდათ ესმა ირაკლის ასული ბერძენიშვილი-შანიძე.

ესმა ყოფილი ოზურგეთის მაზრის (ჩოხატაურის რაიონი) სოფელ შუა ფარცხმაში მცხოვრებ ირაკლი ბერძენიშვილის ცამეტ შვილს შორის ყველაზე უფრო მკვირცხლი და გონიერი იყო. მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში იგი შვილად აუყვანია სამტრედიის რაიონის სოფელ ზემონოღათის მკვიდრს, უშვილო მამიდას ეფემია ბერძენიშვილ-გოგიტაურს. ესმა თექვსმეტი წლისა გაუთხოვებიათ. იგი შეურთავს მეზობელ სოფელ ბეგათში მცხოვრებ ილარიონ ალექსის ძე შანიძეს, რომელიც სადგურ საჯავახოს რკინიგზის მეისრე იყო. ესმას ექვსი შვილი შეძენია — ხუთი ქალი და ერთი ვაჟი. ვაჟი ცნობილი პოეტი ალექსანდრე შანიძე გახლავთ.

როგორც ცნობილია, 1917 წლის გაზაფხულზე სამტრედიაში შეიქმნა ხელმძღვანელი ბოლშევიკური აქტივი ვანო სტურუას ვალიკო გეგეშიძის, სპირიდონ კიკაჩეიშვილის და სხვათა შემადგენლობით. ორგანიზაცია რიცხობრივად მალე გაიზარდა და მთელ რაიონში გაშალა ორგანიზაციულ-პროპაგანდისტული მუშაობა.

ამ ორგანიზაციის ერთ-ერთ წევრს, ძველ რევოლუციონერს, კარგ კონსპირატორს ვასო ახობაძეს სამტრედიის რკინიგზის სადგურში ჟურნალ-გაზეთების კიოსკი ჰქონდა. იგი მეგობრობდა და ახლო ურთიერთობაში იყო რკინიგზელ ილარიონ შანიძის ოჯახთან. ამ ოჯახის დიასახლისის, ესმას ძმა პლატონი, ბიძა თედორე, ბიძაშვილი მიხაკო ბერძენიშვილები და სხვები, როგორც იატაკქვეშ მომუშავე ბოლშევიკები, ესმას ბინაში ხშირად აფარებდნენ თავს. სწორედ აქ დაუახლოვდა ვასო ახობაძე ესმას, რომელიც იმ ხანებში ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. ვასო ახობაძის თაოსნობით სამტრედიასა და ჩოხატაურში არალეგარულად მომუშავე ბოლშევიკური ორგანიზაციები მჭიდროდ შეუკავშირდნენ ერთმანეთს და უმოკლეს ხანში ესმას ბინა აღნიშნული ორგანიზაციების არალეგალური მუშაობის ერთ-ერთ მძლავრ პუნქტად გადაიქცა.

აი, როგორ იგონებს ოთხმოცდაათ წელს გადაცილებული ვასო ახობაძის მეუღლე მელანია ესმას: ესმა ირაკლის ასული ბერძენიშვილი-შანიძე პირველად 1917 წლის შემოდგომაზე ჩემმა მეუღლემ ძველ ბოლშევიკ ქალებთან კატო მიქაძესთან და ოლია პაპავასთან ერთად ოჯახში მოიყვანა და გამაცნო. თანაც გამაფრთხილა: ესმა ჩვენთან მომუშავე ქალია, მას ჩვენს იატაკქვეშ მომუშავე ბოლშევიკურ ორგანიზაციებთან საიდუმლო ბარათების მისატანად და ხალხში პროკლამაციების გასავრცელებლად ვიყენებთ. თუ მის შესახებ ვინმემ რაიმე შეგეკითხოს, დაბეჯითებით უთხარი, ასეთ პიროვნებას არ ვიცნობ თქო.

აი, ამ დროიდან ვიცნობდი ესმას. იგი მაღალი, შავგვრემანი და ვაჟკაცური შეხედულების წაბლისფერთმიანი ქალი იყო. მას ახლო მეგობრობა ჰქონდა ძველ ბოლშევიკ ქალთან — კატო მიქაძესთან.

ჩემი მეუღლეც იატაკქვეშ მომუშავე ბოლშევიკი იყო. მას სამტრედიის რკინიგზის სადგურზე წიგნის კიოსკი ჰქონდა. ხშირად დამინახავს ესმა, კალათით ხელში. იგი ვასოს რაღაც საიდუმლო ბარათს გადასცემდა, მისგან შეკრულ ამანათს მიიღებდა, სასწრაფოდ კალათში ჩადებდა და იმწამსვე გაუჩინარდებოდა ხოლმე.

საშიშროების დროს ესმა სამტრედიის სადგურზე არ გამოდიოდა. არც საჯავახოდან ჩამოდიოდა მატარებლით. იგი მთიანი სოფლიდან, ორპირიდან ფეხით დაეშვებოდა ხოლმე სამტრედიაში.

როცა სამტრედიის სადგურზე რაიმე საფრთხე შეიმჩნეოდა, ესმა ჩემი მეუღლის დავალებით რკინიგზის სადგურის ქვემოთ, საბარგო ბაქანზე მოდიოდა, სადაც საზღვარგარეთ გასაგზავნი კაკლის ხის მორები ეყარა. ესმას თავშალმოხვეული კალათი ეჭირა ხელში. ამანათს გადავცემდი, ვეტყოდი, სად უნდა მიეტანა და იმწამსვე ვშორდებოდი.

ესმას ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა — გულჩათხრობილი, ნათელი გონების, შორსმჭვრეტელი და შეუპოვარი იყო, ჩემი მეუღლე და მისი მეგობრები კატო მიქაძე, ოლია პაპავა და სხვები ბოლშევიკური პარტიისადმი ესმას ერთგულებას დიდად აფასებდნენ.

როგორც ცნობილია, სპირიდონ კიკაჩეიშვილი სამტრედიის არალეგალური ორგანიზაციის ერთ-ერთი ფუძემდებელი და ხელმძღვანელი იყო 1917 წლიდან.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი კვლავ სათავეში ჩაუდგა სამტრედიის რაიონის პარტიულ ორგანიზაციას, ჯერ როგორც რაიონული კომიტეტის ინსპექტორ-პროპაგანდისტი, შემდგომში კი მისი პასუხისმგებელი მდივანი. 1922 წლიდან 1926 წლამდე იგი აღმასკომის თავმჯდომარე იყო.

ეს გამოჩენილი რევოლუციონერი, სკკპ წევრი 1917 წლიდან, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი ამჟამად ცოცხალი აღარ არის. მან მეტად მნიშვნელოვანი მოგონება დაგვიტოვა ესმა ბერძენიშვილ-შანიძის შესახებ. „ესმას პირადად ვიცნობდი. იგი უპარტიო ქალი იყო, მაგრამ მთელი შეგნებით ბოლშევიკურ პარტიას თანაუგრძნობდა და მის გვერდით იდგა“.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ესმა კომუნისტური პარტიის დირექტივების განხორციელებას აქტიურად უწყობდა ხელს, იყო სოფელში საკოლმეურნეო ცხოვრების შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და ფუძემდებელი. ათეული წლების განმავლობაში ღირსეულად ატარებდა მოწინავე კოლმეურნე ქალისა და შესანიშნავი ქართველი დედის საპატიო სახელს.

მისი ხსოვნის პატივსაცემად და მისი დამსახურების დასაფასებლად სახლი, სადაც ესმა ცხოვრობდა, მემორიალურმა დაფამ დაამშვენა.

**თამარ გომართელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# შეუვსებელი სტრიქონი

რედაქციაში ახალგაზრდა ქალი მოვიდა. მას დიდი დარდის ნაკვალევი ღრმად აღბეჭდოდა სახეზე. ძალა მოიკრიბა და თხრობა დაიწყო. უნებისყოფო ახალგაზრდამ ითვალთმაქცა და მომატყუაო. მარტოხელა დედა თავს არ იმართლებდა. მაგრამ უმამო ბავშვის ბედი აფიქრებდა.

დაბადების მოწმობა გამომიწოდა. შიგ ერთი შეუვსებელი სტრიქონი იყო — მამის გვარისა და სახელის ნაცვლად — უბრალოდ გასმული ხაზი.

— მე დამნაშავე ვარ, მაგრამ რად ისჯება შვილი. შემიყვარდა ადამიანი, გულით მივენდე და მოვტყუვდი, იგი არამზადა გამოდგა. ხელი მკრა და მიმატოვა, დამრჩა მხოლოდ დაპირებები, გაცრუებული იმედები. რედაქციისაგან რჩევას, დახმარებას ითხოვდა.

* * *

... მეგობრის ოჯახში ახალგაზრდები შეიკრიბნენ. გვიან ღამით დაიშალნენ. თინა ახალგაცნობილმა გივიმ გააცილა. ორივემ ისურვეს და პეკინის ქუჩა ფეხით გალიეს, ნელა მიაბიჯებდნენ. ლამაზი იყო ღამის თბილისი, ნეონის ნათურებით აფერადებული. გივი ენად გაიკრიფა. ქალიშვილს სიყვარულს ეფიცებოდა. თინა უსმენდა და ხმას არ იღებდა.— აი აქ ვცხოვრობ, — სადარბაზო შესასვლელთან იგი შეჩერდა და ვაჟს გამოემშვიდობა.

გივი თინას ოჯახის ხშირი სტუმარი გახდა. მისი სითამამე ერთხანს აოცებდა დედას და ქალიშვილს, მაგრამ შემდეგ ამასაც შეეჩვივნენ.

დრო მიდიოდა. თეო ჯავრობდა, ბუზღუნებდა, თინას ტუქსავდა, არ მოსწონდა ახალგაზრდა ვაჟის თამამი ნაბიჯები, მისი გამუდმებული ტორღიალი. თინა დედის გაბრაზებას მშვიდად ხვდებოდა, ხმას არ იღებდა. გულით სხვა უფრო დიდი დარდი დაჰქონდა.

დედამ თითქოს შვებით ამოისუნთქა. გივიმ ამ ბოლო დროს შეანელა მათთან სიარული. თინამ ჩემი დარიგება ყურად იღო და ალბათ იმ ბიჭს ჩამოშორდაო, ფიქრობდა გახარებული ქალი. მაგრამ ეს სიხარული ხანმოკლე გამოდგა.

ქალიშვილმა გუნება შეიცვალა, ფერი დაკარგა. ძლივს დალასლასებდა. იგი უკვე ფეხმძიმე იყო. გივი კარგა ხანია გაუჩინარდა. გაუჩინარდა და თან წაიღო თავისი თვალთმაქცური სიტყვები, ცრუ დაპირებები.

ოჯახში ყველაფერს მიხვდნენ. დედას თავზარი დაეცა. თეო ახალგაზრდობაში დაქვრივდა ოთხკედელშუა დარჩა პატარა გოგონას ანაბარა. ცალკე სამსახური, ცალკე ბავშვი... ექთანი და გადმოვიდა მასთან საცხოვრებლად. იგი შველოდა თინიკოს აღზრდაში. თინამ საშუალო სასწავლებელიც დაასრულა და უმაღლესში შესვლისათვის ემზადებოდა...

იმ დღეს მეზობლები სასწრაფო დახმარების გამოძახებას ვერ აუდიოდნენ. ასე ერთბაშად ნეტავ რა მოუვიდა თეო გიგაურს, ჯანმრთელობას იგი აქამდე არ უჩიოდაო, ერთმანეთს ეკითხებოდნენ გაოცებულნი. მაგრამ მიზეზს აბა ვინ შეატყობინებდა მათ.

დედამ ძალა მოიკრიბა, თანდათან მომჯობინდა. ახალი საზრუნავი გაუჩნდა. ვაივიში საქმეს ვერ შველოდა. ბავშვი გაჩნდება და ვინ იცის, შეიძლება ის ვაჟბატონიც გონს მოვიდეს და დაბრუნდეს, შვილმა მამა მოიყვანოსო, ფიქრობდა დადარდიანებული ქალი.

თინას ვაჟიშვილი შეეძინა. ბიჭუნამ აახმიანა ოჯახი. მამა კი აღარსად ჩანდა.

* * *

დაწესებულების ხელმძღვანელმა თათბირი მოიწვია. მისაღებში თითქმის არავინ იყო, ოთახის კარი თინამ ფრთხილად შეაღო. მას ხელთ ბავშვი ეჭირა. ბავშვმა უცხო გარემოში ტირილი გააბა. ტირილის ხმამ კაბინეტამდე შეაღწია. ვინ არისო, იკითხა უფროსმა. თქვენ გკითხულობენო, უთხრა მდივანმა. თათბირი დასრულდა — ყველანი წავიდ-წამოვიდნენ. დირექტორმა ბავშვიანი ქალი იხმო. თინამ ყველაფერი წვრილად უამბო. დირექტორი ყურადღებით უსმენდა ახალგაზრდა ქალს. შეჰპირდა დახმარებას — გივის მოველაპარაკებიო...

* * *

პირველ სექტემბერს ბავშვი დედამ სასწავლებელში მიიყვანა. დაბადების მოწმობაში ისევ დარჩა შეუვსებელი თავისუფალი სტრიქონი. შვილის გულში კი — განუკურნებელი იარა.

გივი საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ მოიქცა, მოიქცა როგორც უგულო ადამიანი, იგი არ დაქორწინდა თავისი შვილის დედაზე.

* * *

აქ ორი ახალგაზრდის ბედზე როდია ლაპარაკი, არამედ ბედი წყდება მესამე ადამიანისაც. ორის ვალია მოიქცეს გონივრულად, საზრიანად, რომ არ დაიჩაგროს მესამე. მესამე კი შვილია!

ვკიცხავთ ქალიშვილს წინდაუხედავი ნაბიჯისათვის, მაგრამ ვაჟი! დანაშაულის გრძნობა ხომ ზრდილობიანი ადამიანის კეთილშობილური გრძნობაა, ამბობს ცნობილი პედაგოგი ვ. სუხომლინსკი.

როცა ახალგაზრდა დედა უმამოდ დარჩენილი ბავშვის ბედით არის შეწუხებული, თავის დროზე უნდა განსაჯოს ეს საკითხი. მარტოხელა დედებს სახელმწიფო ეხმარება, ყველა ჯანსაღ ქალს ერთნაირ უფლებას აძლევს — გააჩინოს შვილი, ჰყავს თუ არა ქმარი. გაჩენა ერთია, მაგრამ აღზრდაა მთავარი.

და იბადებიან ბავშვები. იბადებიან ბედნიერებისათვის და ამის ხელყოფა არ ძალუძთ არც მამას, არც დედას. დედა უმამოდ ზრდის ბავშვს. შვილს კი გონებაში არარსებული მამის ბავშვური ფანტაზია არ ასვენებს. პატარა თითქოსდა იჯერებს „მამა მივლინებაშია“, „მამა მალე ჩამოვა“. ბავშვიც მოთმინებით ელოდება და იმავეს იმეორებს ეზოს, მერე კი სკოლის ამხანაგებთან.

და თუ ვინმე გაბრაზებული შესძახებს: ტყუი, კი არ ჩამოვა, შენ მამა არა გყავსო, ბავშვის გულში ნამდვილი მწუხარება იჭრება. პატარა მოქალაქეს დარდი უჩნდება, გაბრაზებით შესცქერის დედას, რადგან იგი მას დაუსრულებლად ატყუებს.

ბავშვი იზრდება და უკვე სინამდვილეს შეიტყობს, თურმე მამა შორს კი არა, იქვე ახლოს ერთ ქალაქში, მეზობელ ქუჩაზე ცხოვრობს. გულქვა ადამიანი ხშირად გაყინული სახით ჩაუვლის მის ფანჯრებს და არასოდეს უკან არ მოიხედავს, თითქოსდა ვერ ამჩნევს მის შვილს, მამისკენ მომზირალს და პატარა დაუმსახურებლად იტანჯება. იგი დგას და ბოღმამორეული შეჰყურებს გზად მიმავალი მამის ორეულს.

ბავშვი დაბადებულია არა იმისათვის, რომ პასუხი აგოს ორი ადამიანის მიერ დაშვებული შეცდომისათვის, რომლებმაც მას სიცოცხლე აჩუქეს, მას ლაღი ბავშვობა სჭირდება და მშობლების ფრთების საფარი.

იგი ეკითხება დედას, ეკითხება მამას: როცა მცდარ ნაბიჯს დგამდით, იფიქრეთ კი ჩემზე? შვილის მომავალზე? რად დარჩა ჩემს დაბადების მოწმობაში შეუვსებელი სტრიქონი?

და შვილის მიერ დასმულ ამ კითხვას საჭიროა პასუხი გაეცეს, პასუხი გაეცეს მშობლის მოვალეობის მაღალი შეგნებით! ეს ეხება დედას, ეს ეხება მამას!

**ეთერ ჯაფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მურაბები

## საზამთროს მურაბა

### პირველი ვარიანტი

სქელქერქიან საზამთროს ამოაჭერით გული და მოაცალეთ მწვანე კანი. დარჩენილი თეთრი ნაწილი დაჭერით სხვადასხვა ფორმის ლამაზ ნაჭრებად. თითოეული ნაჭერი დაჩხვლიტეთ წვრილი ჩხირით და ჩაყარეთ შესაფერ ჭურჭელში. ზემოდან დააყარეთ ორასი გრამი კირი, დაასხით იმდენი წყალი, რომ ნაჭრები დაფაროს და ერთი საათი გააჩერეთ. შემდეგ გამდინარე წყალზე კარგად გარეცხეთ, ჩაყარეთ ქვაბში, დაასხით მდუღარე წყალი ათი წუთი. გადაიტანეთ თუშფალანგში, ქვაბიდან წყალი გადაღვარეთ, ჩაასხით ახალი მდუღარე წყალი, ჩაყარეთ ნახევარი სუფრის კოვზი შაბი და წამოადუღეთ. ჩაყარეთ საზამთროს ნაჭრები, ადუღეთ ათი წუთი და კვლავ თუშფალანგზე გადაიტანეთ. ქვაბში ჩაასხით მდუღარე წყალი, დაუმატეთ ნახევარი ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი, ჩაყარეთ საზამთრო, ადუღეთ ათი წუთი და ისევ თუშფალანგში გადაიტანეთ. ქვაბიდან გადაასხით შაქრიანი წყალი და ქვაბს მდუღარე გამოავლეთ. ქვაბში ჩაასხით სამი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, ჩაყარეთ ერთი კილოგრამი შაქარი, მოათავსეთ შიგ ერთი კილოგრამი საზამთროს ნაჭრები და ხარშეთ გამზადებამდე. ცეცხლიდან გადმოდგმის დროს დაუმატეთ ვანილი.

### მეორე ვარიანტი

სქელქერქიან საზამთროს ამოაჭერით გული და მოაცალეთ მწვანე კანი. დარჩენილი თეთრი ნაწილი (ერთი კილოგრამი) დაჭერით სხვადასხვა ფორმის ლამაზ ნაჭრებად და დაჩხვლიტეთ წვრილი ჩხირით. ერთ ჩაის ჭიქა მდუღარე წყალში ჩაყარეთ ერთნახევარი ჩაის კოვზი საჭმელი სოდა, კარგად გახსენით და შეურიეთ ხუთი ჩაის ჭიქა ცივი წყალი. დაასხით გამზადებულ საზამთროს, დაახურეთ თავსახური და გააჩერეთ ოთხი საათი.

მურაბის ტაშტში ჩაყარეთ ექვსასი გრამი შაქრის ფხვნილი, დაასხით სამი ჩაის ჭიქა წყალი, დადგით ცეცხლზე და ადუღეთ ათი-თხუთმეტი წუთი.

ამოიღეთ ხსნარიდან საზამთროს ნაჭრები და გამდინარე წყალზე გარეცხეთ ძალიან კარგად. შემდეგ საზამთროს ნაჭრები მოათავსეთ მდუღარე სიროფში და ადუღების მომენტიდან ნელი დუღილით ხარშეთ თხუთმეტი წუთი. გადმოდგით ცეცხლიდან და გააჩერეთ თორმეტი საათი. შემდეგ დაუმატეთ ექვსასი გრამი შაქრის ფხვნილი, დადგით ცეცხლზე და ადუღების მომენტიდან ხარშეთ დაბალ ცეცხლზე სამი საათი. ხარშვის დასასრულს უყავით ვანილი.

## კომშის მურაბა

გარეცხილი, გათლილი, დაჭრილი კომში (ერთი კილოგრამი) ჩაყარეთ მდუღარე წყალში (წყალი კომშს უნდა ფარავდეს) და ხარშეთ, სანამ ცოტა არ შერბილდება. შემდეგ ქაფქირით ამოალაგეთ კომში წვენიდან და ლანგარზე ერთ ფენად მოათავსეთ.

კომშის ნახარში წვენი გაწურეთ, აიღეთ, ამ წვენიდან ორი ჩაის ჭიქა, ჩაასხით მურაბის ტაშტში, დაუმატეთ ერთი კილოგრამი შაქრის ფხვნილი და მოადუღეთ სიროფი. მერე ჩააწყვეთ შიგ გამზადებული კომში და ხარშეთ შემზადებამდე (დახლოებით ორი-ორსაათნახევარი).

## მსხლის მურაბა

მაგარი, გადაუმწიფებელი საზამთრო ჯიშის მსხალი გაფცქვენით, მოაცალეთ შუაგული და დაჭერით ნაჭრებად. მსხლის ნაჭრები (ერთი კილოგრამი) ჩაყარეთ ქვაბში, დაასხით ცივი წყალი ისე, რომ დაფაროს და ხარშეთ დაახლოებით 15 წუთი. ცალკე მურაბის ტაშტში ჩაყარეთ ერთი კილოგრამი შაქრის ფხვნილი, დაასხით ზედ მსხლის ნახარში (ორი ჩაის ჭიქა), მოურიეთ და ადუღეთ. მოათავსეთ შიგ გამზადებული მსხლის ნაჭრები და შემზადებამდე ნელ ცეცხლზე ხარშეთ. ხარშვის დასასრულს შეგიძლიათ დაუმატოთ ოთხი-ხუთი ცალი მიხაკი.

## თეთრი ყურძნის მურაბა

თეთრი ყურძნის მარცვლებს (ერთი კილოგრამი) გამოაცალეთ წიპწები, დააყარეთ ხუთასი გრამი ფხვნილი და სამ-ოთხ საათს გრილ ადგილას გააჩერეთ. მერე მურაბის ტაშტში ჩაყარეთ ხუთასი გრამი შაქრის ფხვნილი, დაასხით ერთ-ერთნახევარი ჩაის ჭიქა წყალი, მოადუღეთ სიროფი და შეაგრილეთ. შეგრილებულ სიროფში მოათავსეთ შაქრიანი ყურძენი, ტაშტი შეანჯღრიეთ, რომ ყურძნის მარცვლები თანაბრად განაწილდეს სიროფში და ხარშეთ შემზადებამდე — დაახლოებით საათნახევარ-ორ საათს.

თამარ სულაქველიძე

გარეკანის პირველ გვერდზე — გორის რაიონის შინდისის საშუალო სკოლის მასწავლებელი, სოციალისტური შრომის გმირი ნადია სამნიაშვილი; მეოთხე გვერდზე — თელეთელი მწველავი — ოპერატორი, კომკავშირელი თამარ წამალაშვილი. დ. იაკობაშვილის ფერადი სლაიდები.


| რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი | სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი) ტექრედაქტორი ნ. ბ უ კ ი ა | საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა |
|---|---|---|

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, № რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 4/VIII-78 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/IX-78 წ., ქაღალდის ზომა $60 \times 90^1/_3$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3 ტირაჟი 126.000. შეკვ. 2429 უე. 00817 ფასი 30 კაპ.



# მცხეთის ჯვარი

მცხეთის ჯვარს თავისი მხატვრული მნიშვნელობით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ძველ ქართულ ხუროთმოძღვრებაში. ტაძარი საქართველოს დედაქალაქის მახლობლად მდებარეობს, იმ მთაზე, რომელიც აღმართულია მტკვრისა და არაგვის შესართავის მარცხენა ნაპირზე. ნაგებობა გვაოცებს გარემო-ბუნებასთან, მთების მოხაზულობასთან ჰარმონიული შერწყმით, რაც ნათელს ხდის იმას, რომ ნაგებობებისა და გარემოს ორგანული კავშირი ქართული ხუროთმოძღვრების დამახასიათებელი და აუცილებელი თვისებაა.

ტაძრის სახელწოდებას ისტორიული საფუძველი აქვს: ამ ადგილას უკვე IV საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან, როცა საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად აღიარეს, აღმართული იყო ხის დიდი ჯვარი. ამ ჯვარს თაყვანს სცემდნენ ქართველები და მთელი კავკასიის ქრისტიანები.

VI საუკუნის მეორე ნახევარში ქართლის ერისმთავარმა გუარამმა ხის ჯვრის გვერდით ააგო მცირე ეკლესია. ეს ეკლესია დღემდეა შემორჩენილი, რადგან ქრისტიანული რელიგია მოსახლეობაში მტკიცედ იკიდებდა ფეხს და მლოცველთა რაოდენობა თანდათანობით მატულობდა, გუარამ ერთმთავრის ძემ სტეფანოზმა ააგო დიდი ტაძარი. რომლის მშენებლობაშიც გარკვეული მონაწილეობა მიუღიათ მის ძმას დემეტრეს და მემკვიდრეს ადრნერსეს. რომელნიც გამოსახულნი არიან ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე.

როგორც სათანადო მასალებიდან ირკვევა, სტეფანოზს 585-86-სა და 604-605 წლებს შორის მცხეთის ჯვრის დიდი ტაძარი აუშენებია. დიდი ტაძარი ზედ გადაეხურა ხის ჯვარს, რომლის კვარცხლბეკიც დღემდეა დარჩენილი ეკლესიის შიგნით.

მცხეთის ჯვრის ტაძარი თლილი ქვით არის ნაშენი. თლილი ქვისაა კედლების შიდა პირიც. შიდა კედლები თავიდანვე შეუმკობლად იყო დატოვებული. მხოლოდ საკურთხევლის კამარას ამშვენებდა მოზაიკა.

ნაგებობა გუმბათიანია — ტეტრაკონქის ტიპის ჯვრის მკლავებს შორის ყოველ კუთხეში თითო ოთახია, რომელთაც თავისი დანიშნულება ჰქონიათ.

კუთხის ოთახების დასაკავშირებლად გუმბათისქვეშა სივრცესთან ეკლესიის შუა, კვადრატული ნაწილის ყოველ კუთხეში გაკეთებულია თითო ნიში, წრის სამი მეოთხედის მოხაზულობა: გუმბათი უშუალოდ კედლებს ეყრდნობა, კუთხის თაღების საშუალებით. საკურთხეველი გამოირჩევა ჯვრის დანარჩენი მკლავებისაგან. აქ, სამი სარკმელია.

როგორც აკადემიკოსი ვ. ბერიძე აღნიშნავს: „მცხეთის ჯვარი მნახველს აოცებს შენობის ცალკეულ ნაწილთა ურთიერთჰარმონიული შეხამებით, პროპორციების დახვეწილობით, შიდა სივრცისა და გარეგნული სახის მხატვრული შესატყვისობით, მორთულობისა და არქიტექტურული ფორმების ბუნებრივი შერწყმით. აქ ხუროთმოძღვარს ყველაფერი ღრმად აქვს გააზრებული — მთლიანობაც და ყოველი წვრილმანიც, შენობის ყოველი მხარეც და მისი ურთიერთობაც გარემოსთან".

ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა შორის, მცხეთის ჯვარი უკეთ გადაურჩა დროთა მსვლელობას და უცხო დამპყრობთა შემოსევებს. მართალია, X საუკუნეში მას არაბებმა ცეცხლი გაუჩინეს და ზოგი რამ დაზიანდა, მაგრამ ეს მხოლოდ წვრილმანი იყო. ტაძარმა დღემდე შეინარჩუნა თავდაპირვანდელი სახე. იგი დღესაც წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე, რა მანძილიდან და რომელი მხრიდანაც უნდა უყურებდე მას.

ირაკლი ზაქარიაშვილი

